კვლევა ეძღვნება 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისას დაღუპულ საქართველოს მოქალაქეებს

კვლევა ეძღვნება 2019 წლის 20-21 ივნისის საპოლიციო სპეცოპერაციის მსხვერპლებს

2019 წლის 20 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქცია და სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენება საქართველოში - გადაუდებელი აუცილებლობა თუ სადამსჯელო სპეცოპერაცია?

თბილისი 2021

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და საქართველოს „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. ცენტრი „ემპათია“ მადლობას უხდის დონორ ორგანიზაციებსა და კვლევაში მონაწილე დაზარალებულებს.

ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია მხოლოდ ცენტრი „ემპათია.“ კვლევის შინაარსი არ გამოხატავს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პოზიციას. შესაბამისად, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ცენტრი „ემპათია.“ აღნიშნული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს „ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

RCT/EMPATHY
ცენტრი „ემპათია“

წინამდებარე კვლევა შესრულებულია ცენტრი „ემპათია“-ს ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ. კვლევაში მონაწილეობდნენ ცენტრი „ემპათია“-ს ექიმები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და იურისტები

კვლევის ავტორები:

მარიამ ჯიშკარიანი

გიორგი ბერულავა

ია ღლონტი

კახაბერ მიქაძე

გიორგი ლემონჯავა

ლეილა ჯანხოთელი

მარიამ გუგავა

ნიკო ქვაცაბაია

კვლევაში გამოყენებულია ნიკოლოზ ურუშაძის ფოტო

სარჩევი

შემოკლებათა ნუსხა 5

I. შესავალი: „გავრილოვის ღამე“ და მისი შედეგები 6

II. კვლევის მეთოდოლოგია 11

III. კვლევის შედეგები 12

3.1. სახელმწიფო ორგანიზაციებიდან და კლინიკებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი და გამჭვირვალობა 12

3.2 ცენტრი „ემპათია“-ს მულტიპროფილური ანკეტით მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი (წარმოდგენილი დიაგრამები დანომრილია მოცემული ანკეტის ცხრილების ნუმერაციის შესაბამისად) 26

1. **ზოგადი მონაცემები** 26
2. **წამების ან/და არასათანადო მოპყრობის ისტორია (20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან დაკავშირებით)** 32
3. **მწვავე შედეგები (2019 წლის 20-21 ივნისს „გავრილოვის ღამის“ შედეგად მიღებული)** 43
4. **სამედიცინო დახმარება მწვავე პერიოდში (20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ დაზარალებულთა მიმართ მომდევნო ერთი თვის განმავლობაში)** 46
5. **მოგვიანებითი პრობლემები/ქრონიკული შედეგები** 48
6. **სამედიცინო დახმარება მოგვიანებით პერიოდში (2019 წლის 20-21 ივნისიდან ერთი თვის შემდეგ)** 52
7. **გამოძიება (20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან დაკავშირებით)** 53

IV. კვლევის შეზღუდვები 55

V. 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები და სპეციალური საპოლიციო ღონისძიება: საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდაეროვნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი 55

1. 2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული სპეციალური საპოლიციო ღონისძიება და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევები 55

- **1.1. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“** 55
- **1.2. სპეციალური საპოლიციო ღონისძიების ლეგიტიმურობა** 59
- **1.3. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** 69

2. ძალის გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები - შედარებითი ანალიზი 72

- **2.1. ძალის გამოყენება** 73
- **2.2. შეკრება/მანიფესტაციის უფლება** 73
- **2.3. სპეციალური პოლიციური საშუალებები** 74
- **2.4. „არალეტალური'' თუ ''ნაკლებად ლეტალური'' იარაღი** 74

2.5. **სხვადასხვა სახეობის ნაკლებად ლეტალური ჭურვები** 76
2.6. **ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენება** 77
2.7. **სამართალდამცავთა გადამზადება** 80
2.8. **ბრძანების ჯაჭვი** 84
2.9. **გამოძიება** 86

VI. შემაჯამებელი დასკვნები **90**

VII. რეკომენდაციები **97**
გამოყენებულ წყაროთა ნუსხა 99

შემოკლებათა ნუსხა

1. I.A.O - მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა (Inter – Parliamentary Assembly of Orthodoxy)
2. შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო
3. ა(ა)იპ - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
4. EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (The Human Rights Education and Monitoring Center)
5. SPSS – პროგრამა მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისათვის (Statistical Package for Social Sciences)
6. სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
7. სს - სააქციო საზოგადოება
8. შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
9. ICD – დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია (International Classification of Diseases)
10. ა.შ. - ასე შემდეგ
11. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
12. ე.წ. - ეგრეთ წოდებული
13. ე.ი. - ესე იგი
14. ACPO - ზემდგომ პოლიციელთა ასოციაცია (Association of Chief Police Officers)

I. შესავალი: „გავრილოვის ღამე“ და მისი შედეგები

აღნიშნული კვლევა ეხება საქართველოში, ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებს, მის შედეგებსა და მომდევნო პერიოდში გამოძიების მიმდინარეობას. კვლევა, ასევე, მოიცავს სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შედარებით ანალიზსა და რეკომენდაციებს ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის დასახვეწად.

20 ივნისის მოვლენებს საფუძვლად დაედო მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში, საერთაშორისო ორგანიზაცია - მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო გენერალური ასამბლეის (I.A.O) სხდომის ორგანიზება. სხდომას რუსულ ენაზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან, უძღვებოდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი - სერგეი გავრილოვი.

აღსანიშნავია, რომ 19 ივნისს, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა თბილისში, სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში (ავლაბრის სასახლე) გაიხსნა. ასამბლეის 26-ე სესიის ფარგლებში გამართული მიღება საქართველოში უკრაინის ელჩმა, იგორ დოლგოვმა, პროტესტის ნიშნად, დროზე ადრე დატოვა.

მიუხედავად 19 ივნისს განვითარებული დაძაბულობისა, 20 ივნისს დაგეგმილი სხდომის ადგილმდებარეობა მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ არ შეცვალა. აღნიშნულ გარემოებას მოჰყვა დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალების დეპუტატების მხრიდან საპროტესტო ქმედებები, რის შედეგადაც საქართველოს პარლამენტში სხდომის ჩატარება შეუძლებელი გახდა.

ამასთანავე, პარლამენტის შენობის წინ, პროტესტის ნიშნად, სპონტანურად შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები და 19:00 საათისთვის დაიწყო მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი. მოთხოვნები ეხებოდა პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომას, ასევე, შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, ვინაიდან გამოიკვეთა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის[1] ძირითად დებულებათა დარღვევა. კერძოდ, როგორც მინიმუმ, დაირღვა აღნიშნული კანონის მე - 8 მუხლი, ვინაიდან

[1] საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, მუხლი 8 და მუხლი 9 (პარლამენტი, 15/07/2020 კონოლიდირებული ვერსია) https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=8

რუსეთის ფედერაცია თავადვე წარმოადგენს საოკუპაციო ძალას, რომელიც აღიარებს ამ კანონის მიხედვით უკანონოდ გამოცხადებულ ყველა ორგანოს ლეგიტიმურობას. ასევე, დაირღვა ამ კანონის მე - 9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქართველოს ხელისუფლების ვალდებულება მიმართოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე მისული მოქალაქეები გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის, გაურკვეველი მოტივით, პარლამენტში შესვლა შეეზღუდა როგორც საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიდან, აგრეთვე იმ ადამიანებს, რომლებიც ფლობდნენ სპეციალურ საშვებს, მათ შორის ჟურნალისტებს, რომლებიც გამოძევებულ იქნენ პარლამენტის შენობიდან.

23:50 საათისათვის პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ აქციაზე სიტუაცია დაიძაბა. პარლამენტის ოპოზიციური დეპუტატები და საშვის მქონე სხვა პირები აპროტესტებდნენ მათი უფლების შეზღუდვას და ითხოვდნენ პარლამენტში შესვლას. აღნიშნულ აქციაზე ამ პერიოდისათვის იმყოფებოდნენ შსს -ს სპეციალური დანიშნულების რაზმები და სხვა საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ აქტიური და პასიური სპეციალური პოლიციური საშუალებებით. ვითარების დაძაბვას მოჰყვა მიტინგის დაშლის სპეცოპერაცია, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა სხვადასხვა პოლიციური სპეციალური საშუალება, მათ შორის, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი, პოლიციური ხელკეტები და სპეციალური ხელბორკილები. მიტინგის დარბევა და საპროტესტო აქციის ეპიცენტრიდან საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებზე ადამიანთა დევნა - დაპატიმრება თითქმის მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ მიტინგის სპეციალური პოლიციური საშუალებებით დაშლის გადაწყვეტილებას წინ არ უძღვოდა რაიმე სახის სამშვიდობო მოლაპარაკება ან გამაფრთხილებელი საჯარო განცხადება პასუხისმგებელი პოლიტიკური პირების მხრიდან, რითაც დაირღვა სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების შიდაეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, რამაც გამოიწვია მომიტინგეთა მიმართ, არასათანადო მოპყრობით, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა.

ოფიციალური მონაცემებით, კერძოდ, ცენტრი ''ემპათია''-ს მიერ განხორციელებული კვლევის ფარგლებში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციით[2], 20-21 ივნისის ღამეს, სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების შედეგად, სხეულის სხვადასხვა

სახის დაზიანება მიიღო საპროტესტო აქციის 202-მა მონაწილემ. შეტაკებისას დაშავდა 73 სპეცრაზმელი. აღნიშნული მონაცემებით, სხეულის ფიზიკური დაზიანება მიიღო სულ 275-მა ადამიანმა.[2] აღსანიშნავია, რომ მოცემული სტატისტიკური მონაცემები არ ასახავს რეალობას, ვინაიდან არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რამდენ დაზარალებულს აღმოეჩინა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ადგილზე, ასევე, რამდენ ადამიანს აღმოეჩინა ამბულატორული ან/და სტაციონარული დახმარება მომდევნო დღეების განმავლობაში.

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევის მიხედვით[3], მიყენებული დაზიანებების გამო, ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 28 პირს, ოფთალმოლოგიური ოპერაცია 8 პირს, ხოლო ნეიროქირურგიული - 4 პირს. დადასტურებულია, რომ ორმა მოქალაქემ ტრავმის შედეგად ცალი თვალი დაკარგა.[3]

ამგვარად, სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენებით სხეულის სხვადასხვა ტრავმული დაზიანება მიიღო 202-მა სამოქალაქო პირმა, მათგან - მედიის 38-მა წარმომადგენელმა, რომელნიც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ.[4]

ა(ა)იპ EMC - ის ოფიციალური მონაცემებით, 20-21 ივნისს 275 ადამიანი დაზარალდა, მათ შორის იყო 187 სამოქალაქო პირი, 40-მდე ჟურნალისტი, პოლიციის 73 თანამშრომელი. მიყენებული დაზიანებების გამო, ქირურგიული ჩარევა 28 პირს დასჭირდა. ასევე დადასტურებულია, რომ რეზინის ტყვიით გამოწვეული ტრავმის შედეგად, ორმა დემონსტრანტმა დაკარგა ცალი თვალი, რამდენიმე დაზარალებულს მნიშვნელოვნად დაუზიანდა მხედველობა.[5]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მიერ ცენტრი „ემპათია“ -ს წერილზე პასუხიდან ირკვევა, რომ ადმინისტრაციული წესით დააკავეს 140 პირი, ხოლო სისხლის სამართლის წესით -18.[6] „21 ივნისს სახალხო დამცველმა საჯაროდ მოითხოვა პროტესტის მონაწილე მოქალაქეთა მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენების, დაკავებულების მიმართ ძალის გადამეტების, ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე გამოძიების დაწყება. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 116 პირი (რამდენიმე 2-ჯერ), რომელთაგან 7 პირის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული

[2] სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მოწოდებული წერილი N12/1783, 08/06/2020

[3] დაკარგული თვალის მიღმა, 20/21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, გვ. 5. © 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

[4] https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/73300-34-dashavebuli-mediis-tsarmomadgeneli-da-zhurnalistebis-protesti-thbilissa-da-12-qalaqshi

[5] ერთი წელი 20-21 ივნისის მოვლენებიდან, EMC, გვ. 2, https://emc.org.ge/ka/products/erti-tseli-20-21-ivnisis-movlenebidan

[6] შსს პასუხი ცენტრი „ემპათია“ -ს წერილზე, N MIA 4 20 01406277, 24/06/2020

არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აპარატმა მიმართა პროკურატურას რეაგირების მიზნით. გამოძიება პარალელურად დაიწყო ორმა უწყებამ: შინაგან საქმეთა სამინისტრომ - მოქალაქეების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების შესწავლა, სამართალდამცავთა მოქმედების კანონიერების შესწავლა კი გენერალურმა პროკურატურამ. გენერალურმა პროკურატურამ გამოძიების პროცესზე ზედამხედველობის მიზნით სახალხო დამცველი მიიწვია.“[7] სახალხო დამცელის ანგარიშიდან ირკვევა, რომ „2019 წლის 22 ივნისს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის საქმეზე N074220619801 გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის კვალიფიკაციით დაიწყო. გამოძიების მიზანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების გამოვლენა წარმოადგენდა. გამოძიების ფარგლებში სხვადასხვა სახის მოქმედებები ჩატარდა“.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე 342 პირი დააკავეს[8].

სახალხო დამცველის ზემოთმოყვანილი ანგარიშის მიხედვით, „გამოკითხულები განმარტავენ, რომ მშვიდობიანი მომიტინგეები არ დაუკავებიათ. მათი ჩვენებით, მოქალაქეთა დაზიანებაზე ბრძანება/ნებართვა არც ხელმძღვანელი პირებისგან მიუღიათ და არც მათ გაუციათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისათვის. გამოკითხვის მიხედვით, საპატრულო პოლიციამ დააკავა 151 პირი, რომელთა ნაწილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთეულებმა ამოიცნეს ვიდეო ჩანაწერებში საკუთარი თავი. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჩვენებით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს 65 პირი, პოლიცია ძირითადად იგერიებდა და უმკლავდებოდა აგრესიულ პირებს, უკანონო ბრძანება არავის გაუცია“[9].

აღსანიშნავია, რომ გამოძიების ფარგლებში, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით: „2 ივლისს დაინიშნა 273 პირის სასამართლო-სამედიცნო ექსპერტიზა ჯანმრთელობის ხარისხის დაზიანების, ლოკალიზაციის, წარმოშობის მექანიზმის განსაზღვრის მიზნით, ასევე, იარაღიდან გასროლით მიყენების შემთხვევაში - სროლის მანძილისა და მიმართულების დადგენის მიზნით. 2019 წლის სექტემბრის შემდგომ (2020 წლის 3 თებერვლის მონაცემებით) მიღებულია 45 მოქალაქის სასამართლო-სამედიცინო

[7] 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში), http://www.ombudsman.ge/res/docs/2020062612225999085.pdf
[8] დაკარგული თვალის მიღმა, 20/21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, გვ. 5. © 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (42 გვ.)
[9] 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში), http://www.ombudsman.ge/res/docs/2020062612225999085.pdf (17 გვ.)

ექსპერტიზის დასკვნა, რომელთა მიხედვით, უმრავლესობა მათგანის დაზიანებები მსუბუქი ხარისხისაა. დასკვნების თანახმად, ფიქსირდება დაზიანებები სხეულის სხვადასხვა არეში, მათ შორის, თავსა და სახეზე, ასევე, თავის ტვინის შერყევის, ცხვირის მოტეხილობის დიაგნოზები, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ქალას და სახის ძვლების მოტეხილობა, შუბლის ძვლის მოტეხილობა. მიღებული დასკვნების თანახმად, 2 პირს დაუდგინდა მძიმე ხარისხის, სიცოცხლისთვის სახიფათო ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება. სექტემბრის თვეში გამოძიებას გადაეცა მოქალაქეთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. 3 მათგანს დაუდგინდა ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, 14 პირს - მსუბუქი ხარისხი, 2 პირზე ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი მითითებული არ არის“[10].

ამგვარად, ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის თაობაზე, ასევე, ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ აქციის მონაწილეთა მიმართ, არ მოიპოვება. არც ერთი საქმე აღძრულა არასათანადო მოპყრობის მუხლით, რასაც მსგავს სიტუაციებში მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ასევე, არ ჩატარებულა სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მხრიდან სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა „სტამბოლის პროტოკოლის“ სტანდარტების შესაბამისად.[11]

20-21 ივნისის საპროტესტო აქციისა და სისხლიანი დარბევის ფაქტი, მომდევნო პერიოდში მედიის მიერ და პოლიტიკური დებატების დროს, მოიხსენიებოდა, როგორც „გავრილოვის ღამე“, რომელსაც შემდგომში მოჰყვა საპროტესტო აქციათა სერია შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომისა და პროპორციული საარჩევნო სისტემის მოთხოვნით. აღნიშნულ მოვლენებს მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარის ფორმალური გადადგომა, შინაგან საქმეთა მინისტრის პრემიერ-მინისტრად დაწინაურება და პროპორციული არჩევნების დაპირების შეუსრულებლობა. საქართველოს პროკურატურამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა „გავრილოვის ღამის“ ინიცირების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გამოძიების წარმართვა, კერძოდ, იმ საკითხის დადგენა თუ როგორ მოხდა საქართველოს პარლამენტში აგრესორი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო გენერალური ასამბლეის (I.A.O) სხდომის ორგანიზება, რამაც საფრთხე შეუქმნა საქართველოს პარლამენტის ფუნქციონირებას და გამოიწვია დესტაბილიზაცია, რასაც

[10] 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში), http://www.ombudsman.ge/res/docs/2020062612225999085.pdf (20 გვ.)

[11] სტამბოლის პროტოკოლი : წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, https://el.ge/articles/4627

მოჰყვა საზოგადოების სპონტანური პროტესტი, მომიტინგეთა დარბევა და საქართველოს მოქალაქეების, ზოგიერთ შემთხვევაში, სამუდამო დასახიჩრება.

II. კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევისათვის ცენტრი „ემპათია“-ს მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდოლოგია:

1. ინფორმაციის ანალიზი, რაც გულისხმობს 2019 წლის 20-21 ივნისის ტრაგიკული მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ასევე, პუბლიკაციებისა თუ ღია წყაროებში განთავსებული მასალის ანალიზს;
2. სამედიცინო დაწესებულებებიდან ინფორმაციის წერილობით გამოთხოვა, ასევე, წერილობითი მიმართვა და ინფორმაციის შეგროვება სახელმწიფო ორგანიზაციებიდან;
3. აღნიშნული კვლევა მოიცავს ცენტრი „ემპათია“ - ს მიერ მულტი - პროფილური კითხვარის - „2019 წლის 20-21 ივნისს დაზარალებულთა მულტი - პროფილური კვლევის კითხვარი“[12] შემუშავებას. დოკუმენტი შემუშავებულ იქნა „სტამბოლის პროტოკოლი“ - ს პრინციპების შესაბამისად. კითხვარი შერეული ხასიათისაა, მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს; შედგება 6 თავისაგან: I თავი მოიცავს რესპონდენტის შესახებ ზოგად ინფორმაციას; II თავში მოცემულია წამების ან/და არასათანადო მოპყრობის ისტორია; III თავში მოცემულია ტრავმული - სტრესული მოვლენის შედეგად მიღებული მწვავე პერიოდის დაზიანებების აღწერა; IV თავი მოიცავს სამედიცინო დახმარებას მწვავე პერიოდში; V თავში ასახულია ქრონიკული შედეგები და სამედიცინო დახმარება ტრავმული - სტრესული მოვლენიდან ერთი თვის შემდეგ; ხოლო VI თავი მოიცავს ინფორმაციას გამოძიების ეფექტურობის შესახებ.
4. კვლევა მოიცავს მასალის შეგროვებას: გამოკითხულ იქნა 30 რესპონდენტი, რომელთაც საკუთარი სურვილით მომართეს ცენტრ „ემპათია“ - ს და ჩაერთნენ კვლევაში. განხორციელდა მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი SPSS[13]

[12] 2019 წლის 20/21 ივნისს (გავრილოვის ღამის) დაზარალებულთა მულტი - პროფილური კვლევის კითხვარი“

[13] SPSS Statistics is a software package used for interactive, or batched, statistical analysis. Long produced by SPSS Inc., it was acquired by IBM in 2009. Current versions (post 2015) have the brand name: IBM SPSS Statistics.

The software name originally stood for Statistical Package for the Social Sciences (SPSS), reflecting the original market, then later changed to Statistical Product and Service Solutions. https://en.wikipedia.org/wiki/SPSS

სტატისტიკური პროგრამის მეშვეობით. მონაცემთა ანალიზი მოიცავდა როგორც რაოდენობრივ ანალიზს, ასევე თვისობრივ კვლევას.

5. კვლევისათვის შესწავლილი იქნა საქართველოში სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ასევე საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზი და შემუშავდა რეკომენდაციები ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისათვის.
6. მომზადდა სპეციალური პოლიციური საშუალებებისა და გამოძიებაში კომპლექსური ექსპერტიზის გამოყენების საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და რეკომენდაციები.

III. კვლევის შედეგები

3.1. სახელმწიფო ორგანიზაციებიდან და კლინიკებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი და გამჭვირვალობა

კვლევის ფარგლებში, ცენტრმა „ემპათია“ წერილობით გამოითხოვა სხვადასხვა სახის ინფორმაცია „გავრილოვის ღამის“ დაზარალებულთა შესახებ, შემდეგი კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებიდან:

1. სამედიცინო დოკუმენტაცია და სტატისტიკური ინფორმაცია 24 კლინიკიდან;
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან - სტატისტიკური ინფორმაცია;
3. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან;
4. სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112-დან;
5. შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან;
6. შსს ადმინისტრაციიდან;
7. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიდან;
9. შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან;
10. შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტიდან ;
11. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან;

12. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორისაგან.

სულ გაიგზავნა 39 წერილი.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი „ემპათია“-ს მიერ 24 კლინიკაში გაგზავნილი წერილის პასუხად მიღებული იქნა ინფორმაცია მხოლოდ 7 კლინიკიდან, აქედან, ორი კლინიკის მონაცემებით, მათ 20-21 ივნისის ღამეს დაზიანებებით პაციენტები არ მიუღიათ.

სხვა კლინიკების მონაცემები ასე გადანაწილდა:

N	დაწესებულება (კლინიკები)	დაზარალე-ბულთა რაოდენობა - სამოქალაქო პირები	დაზარალებულთა რაოდენობა შსს-ს თანამშრომლები	სულ	დიაგნოზები	შსს-სათვის შეტყობინება	დოკუმენტაციის ამოღება
	29/05/20-16/06/2020						
1	სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი - ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი	4	3	9	7	9	9
2	სს ევექსის ჰოსპიტლები, ი. ბოკერიას სახ. რეფერალური ჰოსპიტალი	1	0	1	0	1	1
3	შპს ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა	17	1	18	18	17	18
4	შპს ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი	1	0	1	დაუზუსტებ-ლი აირით ინტოქსიკაცია	პასუხი არ არის	1
5	შპს. კლინიკა რუსთავი	2	0	2	დიაგნოზები გადმოგვცა	2	1
		25	4	31			

მოწოდებული დიაგნოზები:

სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი - ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი

N	დიაგნოზები მხოლოდ 7 პაციენტზე, ორმა უარი განაცხადა მომსახურებაზე, მიზეზი უცნობია	კოდები ICD - 10[14]	პაციენტების რაოდენობა /რიგითობა, სულ 7 პაციენტზე
1			
1.1.	კოჭ - წვივის სახსრის დაჟეჟილობა	S 90.0.	1

[14] ICD – 10 http://classifications.moh.gov.ge/Classifications/Pages/ViewICD10.aspx

1.2.	ტერფისა და დაუზუსტებელი ნაწილების დაჟეჟილობა, არის დაზუსტებული მარჯვენა ტერფის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა	S 90.3.	1
1.3.	რბილ ქსოვილებში დარჩენილი უცხო სხეული, მარცხენა დუნდულოს მიდამოს უცხო სხეული	M79.5.	2
1.4	ტორსის ღია ჭრილობა, დაუზუსტებელ დონეზე მარცხენა დუნდულოს მიდამოს ღია ჭრილობა	T 09.1.	2
1.5.	კისრის სხვა ნაწილების ზედაპირული ტრავმა, კისრის მიდამოს ზედაპირული ტრავმა, ექსკორიაცია კისრის არეში	S 10.8.	2
1.2.	სხეულის დაუზუსტებელი უბნის ზედაპირული ტრავმა, სხეულის მრავლობითი ზედაპირული ჭრილობები	T 14.0.	2
1.6.	ტერფის სხვა თითების მოტეხილობა, მარჯვენა ტერფის მესამე თითის საფრჩხილე ფლანგის კოდის მოტეხილობა დამაკმაყოფილებელი დგომით	S 92.5	3
1.7.	თავის ტვინის შერყევა	S 06.0.	4
1.8.	სხვა დაზუსტებული აირების კვამლის და ორთქლის ტოქსიკური ეფექტი. სხვა აირების კვამლისა და ორთქლის ტოქსიკური ეფექტი	T 59.8.	5
1.9.	სხეულის დაუზუსტებელი უბნის ზედაპირული ტრავმა, სხეულის მრავლობითი ესკორაციები	T 14.0	5
1.10.	თავის სხვა ნაწილების ზედაპირული ტრავმა, თავის ზედაპირული ტრავმა	S 00.8.	6
1.11.	წინამხრის სხვა და დაუზუსტებელი ნაწილის დაჟეჟილობა, მარცხენა წინამხრის მიდამოს რბილი ქსოვილის დაჟეჟილობა	S 50.1.	6
1.12.	რადიოლოგიური გამოკვლევა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში, თავის ტვინის კტ კვლევა	Z 01.6.	6
1.13.	გულმკერდის ტრავმები, გულმკერდის დახურული ტრავმა, რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა	S 20.2.	7

შპს. ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მონაცემებით:

18 დაზარალებული პირიდან 15-ს აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა მიდამოს ტრავმული დაზიანება; 1 პირი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი - დიაგნოზით: თავის ტვინის შერყევა, მხრის სარტყელისა და მხრის ზედაპირული ტრავმა; 3 პირის შემთხვევაში აღინიშნებოდა აირების, კვამლის ტოქსიკური ეფექტი.

შპს „კლინიკა რუსთავი“

აღნიშნული კლინიკიდან მოწოდებული ინფორმაციით: 2019 წლის 21 ივნისს მიტინგზე მიღებული დაზიანებების შედეგად (რეზინის ტყვიები და უცხო საგნით მიყენებული ჭრილობები) კლინიკას მიმართა ორმა პაციენტმა. აქედან, ერთი შეყვანილ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ, ხოლო მეორემ - მიმართა თვითდინებით.

დიაგნოზები ასე გადანაწილდა:

1. შემთხვევა: ჭრილობების ქირურგიული დამუშავების შემდგომი ხანის შეხვევა, Z 48.9.
   ტეტანუსის იმუნიზაცია აქტიური და პასიური - Z 23.5
2. შემთხვევა: ქალა - ტვინის დახურული ტრავმა - S 600143;
   თავის ტვინის შერყევა - S 06.0;
   თავის ზედაპირული ტრავმა - S 00.0.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N239/ნ - ის შესაბამისად შეტყობინება შსს - ში გაიგზავნა ორივე პაციენტზე. პროკურატურის მხრიდან გამოძიების ფარგლებში ამოღებული იქნა სამედიცინო დოკუმენტაცია მეორე პაციენტზე.

ამგვარად, კლინიკებიდან შემოსული ინფორმაცია მწირია და აღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისის მიტინგის პოლიციური სპეციალური საშუალებებით დაშლის შედეგად როგორც სამოქალაქო პირებმა, ასევე შსს-ს თანამშრომლებმა, მიიღეს ტრავმული დაზიანებები, მათ შორის, რეზინის ტყვიებითა და სხვა საგნებით მიყენებული ჭრილობები, დაფიქსირდა გაურკვეველი აირით მოწამვლის შედეგები, ასევე, საყურადღებოა, ქალა-ტვინის ტრავმული დაზიანების შედეგები. მიღებულია მონაცემები 31 პაციენტზე, მათგან - 25 იყო სამოქალაქო პირი, 4 - შსს-ს თანამშრომელი. აღნიშნული კლინიკებიდან ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება N239/ნ[15] - ის შესაბამისად, შეტყობინება შსს - ში გაიგზავნა თითქმის ყველა პაციენტზე, თუმცა, ერთ შემთხვევაში შსს-ს თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია არ გადაეცა სამინისტროს. გამოძიების მხრიდან ამოღებული იქნა სამედიცინო დოკუმენტაციის ორიგინალები. აღსანიშნავია, რომ ცენტრმა „ემპათია“, ცალკეული პაციენტების ინფორმირებული თანხმობით, მოითხოვა კლინიკებიდან სამედიცინო დოკუმენტაციის დამოწმებული ასლები, რაც აუცილებელი იყო „სტამბოლის პროტოკოლი“ - თ ექსპერტიზის ჩასატარებლად, თუმცა, მიღებული პასუხებიდან გაირკვა, რომ უმეტეს შემთხვევაში დოკუმენტაციის ორიგინალები ამოღებული იქნა პროკურატურის მიერ სასამართლო განჩინების საფუძველზე, ხოლო კლინიკებში არ აღმოაჩნდათ ასლებიც კი. ცალკეული პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ფორმა N100, რაც წარმოადგენს მოკლე ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ.

შეუძლებელი იყო ცენტრი „ემპათია“-სათვის ინფორმაციის მიღება გამოძიებაზე პასუხისმგებელი პროკურატურიდან, მათ შორის, პაციენტის თანხმობითაც კი. პროკურატურის განმარტებით, დაზარალებული ან პირი, რომელიც არ არის ცნობილი

[15] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 239/ნ, 05.12.2000

დაზარალებულად, მოკლებულია უფლებას ჰქონდეს ადეკვატური წვდომა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაციაზე. აქვე განვმარტავთ, რომ აღნიშნული მიდგომით ირღვევა არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის შემთხვევაში გამოძიებისა და დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტები, ასევე - საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“,[16] რომელიც განმარტავს, რომ პაციენტსა და მისი თანხმობით, მის წარმომადგენელს, უფლება აქვს მიიღოს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი „ემპათია“-ს მიმართვაზე, 20-21 ივნისს პარლამენტის შენობის წინ აქციის სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენებით დაშლისას დაზიანებული პირების შესახებ სტატისტიკური სეგრეგირებული მონაცემები არ იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან. ასევე, გამოთხოვილი იქნა სტატისტიკური ინფორმაცია შსს-ს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი-112-დან, გაირკვა, რომ ამგვარ სტატისტიკურ ინფორმაციაზე 112 პასუხისმგებელი არ არის - მათ ფუნქციაში მხოლოდ შემოსული პირველადი ინფორმაციის დამისამართება შედის.

2020 წლის 6 ივნისს ცენტრმა „ემპათია“ მიმართა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, საიდანაც გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია[17]:

1. 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დასაშლელად ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად დაშავებულ რამდენ პიროვნებას გაეწია სასწრაფო სამედიცინო დახმარება და რამდენი პიროვნება გადაიყვანა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ტრავმული დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებებში? მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან, რამდენია სამოქალაქო პირი და რამდენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი?
2. რომელ სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელდა ტრავმული დაზიანებების შედეგად დაშავებულთა გადაყვანა და რომელ კლინიკაში რამდენი პაციენტი იქნა გადაყვანილი?
3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია, რამდენ შემთხვევასთან დაკავშირებით გაიგზავნა შესაბამისი შეტყობინება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში,

[16] საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“
[17] 2020 წლის 6 ივნისს ცენტრმა „ემპათია“ -მ ასევე მიმართა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 239/ნ-ით გათვალისწინებული ინსტრუქციის შესაბამისად, 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შედეგად დაზიანებული პიროვნებების შესახებ?

ცენტრმა „ემპათია“-მ მოითხოვა აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხი (სტატისტიკური ინფორმაცია) ცალ-ცალკე, სამოქალაქო პირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების შესახებ.

ცენტრმა „ემპათია“-მ აღნიშნული წერილიდან მხოლოდ პირველ ორ შეკითხვაზე მიიღო პასუხი, ხოლო მესამე მოთხოვნასთან დაკავშირებით უწყებამ განმარტა, რომ სტატისტიკურ ინფორმაციას, თუ რამდენ შემთხვევასთან დაკავშირებით გაიგზავნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ შესაბამისი შეტყობინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მხოლოდ კლინიკები ფლობენ. ასევე, არ გადმოუციათ ინფორმაცია, თუ რამდენ პაციენტს აღმოეჩინა ამბულატორული დახმარება 20-21 ივნისს პოლიციური საშუალებებით აქციის დაშლის შედეგად.

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მონაცემებით:

N	სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია	რომელ კლინიკაში და რამდენი პაციენტი იქნა გადაყვანილი	მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან სამოქალაქო პირების რაოდენობა	მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან შსს-ს თანამშრომელთა რაოდენობა
1	ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა, შპს. მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა	46	44	2
2	აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი	13	11	2
3	შპს ამტელ ჰოსპიტალი	14	14	0
4	კავკასიის მედიცინის ცენტრი (ევექსისი კლინიკა) /რეგიონული ჰოსპიტალი	55	6	49
5	შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახ. კლინიკა	31	29	2
6	ელიზაბეტ ბლექველის ჰოსპიტალი	0	0	
7	შპს აკადემიკოს ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	23	22	1

8	სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი - ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი	7	3	4
9	ავერსის კლინიკა	1	0	1
10	შპს ჯეო ჰოსპიტალსი	0	0	0
11	კ. ერისთავის სახ. ქირურგიის ეროვნული ცენტრი	13	9	4
12	შპს ნიუ ჰოსპიტალსი	24	23	1
13	ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი	0	0	0
14	თვალის კლინიკა ახალი მზერა	0	0	0
15	სს ევექსის ჰოსპიტლები, ი. ბოკერიას სახ. რეფერალური ჰოსპიტალი	2	1	1
16	სსიპ. თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა	5	3	2
17	შპს გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგის ცენტრი	2	2	0
18	შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო	3	3	0
19	შპს ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა	17	17	0
20	შპს. ღია გული /მე - 5 კლინიკური საავადმყოფო	5	5	0
21	შპს. წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო	11	9	2
22	შპს ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი	1	1	0
23	შპს. კლინიკა რუსთავი	1	0	1
24	სსიპ. გ. აბრამიშვილის სახ. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი	1	0	1
სულ		**275**	**202**	**73**

ამგვარად, 20-21 ივნისის საპოლიციო ღონისძიების დროს დაზიანებულ 202 სამოქალაქო პირსა და შსს-ს 73 თანამშრომელს მოემსახურა ჰოსპიტალური სექტორის 20 კლინიკა. მონაცემები ამბულატორული მომსახურების თაობაზე და დიაგნოზების სტატისტიკური მაჩვენებლები უცნობია. შესაბამისად, ზუსტი მონაცემები, 20-21 ივნისის აქციაზე დაზარალებულებისა და მათი დიაგნოზების შესახებ, კვლავ უცნობი რჩება.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში ცენტრმა „ემპათია“ წერილობით (წერილი N 31-05/20 29.05.2020)[18] მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა

[18] ცენტრი „ემპათია“ -ს წერილი შსს - ში წერილობით (N 31-05/20, 29/05/2020)

სტრუქტურულ დანაყოფს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული წერილის შინაარსი მოცემულია სრულად:

1. რა სახის სპეციალური საშუალებების გამოყენება მოხდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების მიერ 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დაშლისათვის ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დროს? გთხოვთ, მიუთითოთ სპეციალური საშუალების ტიპი, მწარმოებელი კომპანიის, სერიული ნიშნებისა და ტექნიკური მახასიათებლების მითითებით. აგრეთვე, გთხოვთ მიუთითოთ, როდის და რომელი მწარმოებლისაგან განხორციელდა აღნიშნული სპეციალური საშუალებების შესყიდვა.
2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, ჩაუტარდა თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირად შემადგენლობას სპეციალური პრაქტიკული წვრთნა/ტრენინგი საპროტესტო აქციების დაშლასთან დაკავშირებით. თუ ზემოთ ჩამოთვლილი დანაყოფების თანამშრომლებს რეგულარულად უტარდებათ, ან ოდესმე ჩატარებიათ ამგვარი ტიპის წვრთნა, გთხოვთ, მიუთითოთ წვრთნის სპეციფიკა, თეორიული და პრაქტიკული მოდულები, წვრთნების ჩატარების ინტენსივობა და თარიღები. აგრეთვე, საკითხები, რომლებიც წვრთნის/ტრენინგის სასწავლო კურსითაა გათვალისწინებული.
3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დაშლის პროცესში და საპოლიციო ოპერაციის დასრულების შემდეგ, დაშავებული სამოქალაქო პირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების რაოდენობის შესახებ. თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რამდენი სამოქალაქო პირი და პოლიციის თანამშრომელი დაშავდა საპოლიციო ოპერაციის შედეგად და რომელ კლინიკებში მოხდა მათი გადაყვანა? გთხოვთ, მიუთითოთ კლინიკის დასახელება და განთავსებული ადამიანების რაოდენობა. (პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია არ ითხოვს სახელისა და გვარის, ასევე სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მითითებას).
4. არსებობს თუ არა წერილობითი ბრძანება 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციის დასაშლელად განხორციელებული საპოლიციო ღონისძიების ჩატარების თაობაზე. დადებით

შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ბრძანების ნომერი და ხელმისაწვდომობის წყარო, ან/და გთხოვთ, მოგვაწოდოთ დოკუმენტის სახით.

5. 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების მიმდინარეობისას ან ღონისძიების დასრულების შემდეგ, რამდენ პიროვნებასთან დაკავშირებით შემოვიდა შეტყობინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 239/ნ-ით გათვალისწინებული ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებიდან, რამდენთან დაკავშირებით დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი სამართლებრივი წარმოება და რამდენი საქმეა დღემდე წარმოებაში? (სამოქალაქო პირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების რაოდენობების მითითებით).
6. იყო თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა აღჭურვილი სპეციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დროს და არსებობდა თუ არა ამგვარი მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით შსს-ს ზემოთაღნიშნული დანაყოფის პირადი შემადგენლობის აღჭურვის სამართლებრივი ვალდებულება? იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები ამგვარი მაიდენტიფიცირებელი ნიშნებითა და ნომრებით იყვნენ აღჭურვილნი, გთხოვთ დეტალურად მიუთითოთ აღჭურვილობის კომპონენტები, რომელთა მეშვეობითაც ადგილზე მყოფ სამოქალაქო პირებს შეეძლოთ სპეცრაზმელის იდენტიფიცირება.

აღნიშნული წერილის პასუხად, ცენტრმა „ემპათია“-მ მიიღო შსს-ს ადმინისტრაციის უფროსის პასუხი, რომელიც საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულია სრულად:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის ქეთევან ტყეშელაშვილის პასუხი (MIA 4 20 01406277, 24/06/20)[19]:

“2020 წლის N 31-05/20 და 37-06/20 განცხადებების პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

[19] „შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის ქეთევან ტყეშელაშვილის პასუხი (MIA 4 20 01406277, 24/06/20)

პოლიციელი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად იყენებს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პასიური სპეციალური საშუალებები უზრუნველყოფს პოლიციელის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ასეთი სპეციალური საშუალებებია: ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინაღი და სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები. 2019 წლის 20-21 ივნისს, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვისა და აღდგენის მიზნებისათვის სამინისტროს თანამშრომლებს გადაეცათ პასიური სპეციალური საშუალებები, კერძოდ ჩაფხუტი, ფარი, ჯავშანჟილეტი და მასების მართვისთვის განკუთვნილი პასიური თავდაცვის საშუალებები - ე.წ. "რობოკოპის" ფორმა. ამასთან, "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს კანონით დაშვებული აქტიური სპეციალური საშუალებების ტიპებს, რაც მოიცავს ხელბორკილს, სპეციალურ ხელკეტს, ცრემლსადენ გაზს, წიწაკის გაზს, არალეტარულ იარაღს, წყალსატყორცნს და ა.შ., რომლებიც პირს მოკლე ვადით უსპობს პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს ან პოლიციელს ეხმარება საპოლიციო ფუნქციის შესრულებაში. 2019 წლის 20-21 ივნისს ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული შეკრებისა და მანიფესტაციისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აღდგენის მიზნით, სამინისტროს თანამშრომლები აღჭურვილნი იყვნენ ზემოხსენებული სპეციალური საშუალებებით.

რაც შეეხება სპეციალური საშუალებების შეძენის თარიღს, გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ ბოლო შესყიდვა განხორციელდა 2012 წლის 6 აგვისტოს.

ამასთან, შეკრებისა და მანიფესტაციის, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისა და ძალადობის ფაქტების თავიდან აცილებისა და ასეთ შემთხვევებზე ეფექტიანად რეაგირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამინისტროს აკადემია, როგორც საბაზისო, ასევე გადამზადების პროგრამებზე ახორციელებს პოლიციელთა სწავლების ეროვნული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გააზრებასა და შესრულებას. სწავლისას განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსი და განმარტება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართ;

- ძალის გამოყენება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს;
- პოლიციის როლი და მნიშვნელობა ამ უფლების დაცვისას.

ამასთან, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების დროს, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა. შესაბამისად, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მოსამსახურეები მუდმივად გადიან მასების მართვაში მომზადებისა და გადამზადების სწავლებებსა და კურსებს. აღნიშნული დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმარებისა და მართვის სამმართველო ყოველი წლის დასასრულს ამზადებს მომავალი წლის განმავლობაში ჩასატარებელი სწავლებებისა და საბრძოლო მომზადების პროგრამას. ზემოხსენებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია სპეციალური ტაქტიკის (მასების მართვა) სწავლებებს, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებებს შემდეგ საკითხებში:

- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სამინისტროს მომსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია;
- ხალხის მასის დინამიკა;
- ხალხის მართვის ოპერაციები;
- ძალის გამოყენება;
- მოლაპარაკება;
- მედიასთან ურთიერთობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესი მასების მართვის ღონისძიებებისას;
- სპეციალური საშუალებები;
- ინდივიდუალური საშუალებების დანიშნულება და გამოყენება (მორგება);
- ილეთები ფიზიკური ძალის გამოყენებისას, მტკივნეული ილეთები;
- წყალსატყორცნის გამოყენების პრაქტიკული მეცადინეობები (სპეცმანქანების ეკიპაჟისათვის);
- ქვედანაყოფის სტრუქტურა, ქვედანაყოფის მიერ წყობების შექმნა და გამოსაყენებელი ტაქტიკა (არაძალადობრივი);
- ქვედანაყოფის ჩანაცვლების სავარჯიშოები;
- სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში მომზადება, საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის გამოსაყენებელი ტაქტიკა;

- ქვედანაყოფის გადაადგილება, წყობების შექმნა და გამოსაყენებელი ტაქტიკა;
- არალეტალური იარაღის და ხელყუმბარების გამოყენების წესები და სროლის ხერხები;
- სტადიონების ტრიბუნებზე მოქმედების ტაქტიკა;
- ტაქტიკური გადაადგილებები სპეციალური ტექნიკის გამოყენებით;
- გადაადგილებები ჯავშანმანქანების გამოყენებით.

ასევე გაცნობებთ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის წინ გამართული აქციის მიმდინარეობისას და დაშლისას დაშავდა სამინისტროს 72 თანამშრომელი.

ამასთან, 2019 წლის 20 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ უშუალოდ შეკრების შეწყვეტის შესახებ წერილობით ბრძანება არ გამოცემულა, თუმცა, აქვე მოგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, როგორც წესი, შეკრების/მანიფესტაციის დროს მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შემთხვევაში კი უსაფრთხოების გეგმის შემუშავება ხორციელდება სპეციალური შეკრების/მანიფესტაციის დაწყებიდან გონივრულ ვადაში. სამოქმედო გეგმას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი სახელმწიფო საიდუმლოების მოთხოვნათა დაცვით. სამოქმედო გეგმაში, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება მონაცემები: სპეციალური ღონისძიების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების, მათი ფუნქციებისა და მოქმედებათა თანამიმდევრობის შესახებ; პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ და სხვა.

გაცნობებთ, რომ შეკრების ადგილზე მყოფ სამინისტროს ყველა თანამშრომელს ეცვა სამსახურებრივი უნიფორმა, რითაც შესაძლებელი იყო მათი, როგორც სამართალდამცავი პირების, იდენტიფიცირება.

ასევე, სამინისტროს დროებით მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ საპოლიციო ღონისძიებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადმინისტრაციული წესით მოთავსებული იქნა 140, ხოლო სისხლის სამართლის წესით - 18 დაკავებული. აღნიშნული პირებიდან, 32 პირის აღენიშნებოდა ტრავმული დაზიანებები, რომლებიც ძირითადად გამოხატული იყო სისხლნაჟღენთების,

ნაჭდევების, ნაკაწრების (ექსკორიაციების), არასისხლმდენი ჭრილობების, სხეულის სხვადასხვა არეზე ტკივილის სახით.

სხეულზე არსებული ტრავმების და დაზიანებების გამო, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია 10 პირის, მათ შორის ერთი პირი რეფერირებულ იქნა კლინიკაში, სპეციალისტის კონსულტაციის მიღების მიზნით და გაეწია ამბულატორიული მომსახურება.

ამასთან, ზემოაღნიშნული 32 პირის სხეულზე არსებული ტრავმული დაზიანებების შესახებ ეცნობა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. რაც შეეხება აღნიშნული შეტყობინებების საფუძველზე სამართლებრივი წარმოების დაწყებას, გაცნობებთ, რომ მითითებული საკითხი სცილდება სამინისტროს კომპეტენციას.”

აღნიშნულიდან ირკვევა, რომ: 1) 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის დაშლის მიზნით გამოყენებულ იქნა სპეციალური პოლიციური საშუალებები ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანების გარეშე, ზოგადად დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რაც არღვევს სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტებს; 2) აღნიშნული წერილით ირკვევა, რომ რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი აქციის დაშლასთან დაკავშირებით არ არსებობს; 3) პერსონალური მაიდენტიფიცირებელი ნომრები ან/და სხვა რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი სპეცრაზმელებს არ ჰქონიათ, შესაბამისად, გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოხდეს სავარაუდო დანაშაულის შემთხვევაში პირის იდენტიფიციერება; 4) აღნიშნული წერილიდან არ ირკვევა, თუ რომელ საგამოძიებო უწყებას გადაეცა ინფორმაცია 32 სამოქალაქო პირის დაზიანებების შესახებ და რა გზით წარიმართა გამოძიება.

2020 წლის 29 მაისს, ცენტრმა „ემპათია“ განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას[20] და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

„1. რამდენი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეა საქართველოს პროკურატურის წარმოებაში ამ მომენტისათვის 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დასაშლელად ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დროს მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით?

[20] 29.05.2020, საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს, ა(ა)იპ ძალადობის, წამებისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქიკური რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრის „ემპათია“ -ს განცხადება N32-05/20

2. რამდენ პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დასაშლელად ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დროს მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით? მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან, რამდენია სამოქალაქო პირი და რამდენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი?

3. რამდენი პიროვნებისათვის მოხდა ბრალის წარდგენა 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დასაშლელად ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დროს შესაძლო ძალის გადამეტების ფაქტზე?

4. რამდენი პიროვნებისთვის მოხდა ბრალის წარდგენა 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჯამში? მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან, რამდენია სამოქალაქო პირი და რამდენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი?

5. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების მსვლელობისას, რამდენ პირს ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა საერთაშორისო სტანდარტებით ან/და კომპლექსურ-კომისიური ექსპერტიზა? მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან, რამდენია სამოქალაქო პირი და რამდენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი?

6. გთხოვთ მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების მსვლელობისას, რამდენი და რომელი სამედიცინო დაწესებულებიდან განხორციელდა პიროვნებასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაციის ამოღება. მოცემული ჯამური მაჩვენებლიდან, რამდენია სამოქალაქო პირი და რამდენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი?

7. გთხოვთ მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების მსვლელობისას, რამდენი სამოქალაქო პირი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენი თანამშრომელი იქნა გამოკითხული საქართველოს პროკურატურის მიერ.

გთხოვთ, აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხი (სტატისტიკური ინფორმაცია) მოგვაწოდოთ ცალ-ცალკე, სამოქალაქო პირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების შესახებ.

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია უმოკლეს ვადაში მოგვაწოდოთ წერილობითი ფორმით“.

აღნიშნულ წერილზე ცენტრ „ემპათია“-ს პასუხი არ მიუღია. ამგვარად, უპასუხოდ დარჩა ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროდან, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან. აღნიშნული მიუთითებს გამოძიების არაეფექტურობასა და მიკერძოებულობაზე. ამასთანავე განვმარტავთ, რომ ცალკეული შემთხვევების შესახებ ცენტრმა „ემპათია“ არაერთგზის მიმართა საგამოძიებო უწყებებსა და სასამართლოს, თუმცა, უშედეგოდ, შესაბამისად, ერთ - ერთი საქმე ცენტრი „ემპათია“-ს მიერ გაიგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ასევე მზადდება სხვა საქმეებიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად.

3.2 ცენტრი „ემპათია“-ს მულტიპროფილური ანკეტით მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი (წარმოდგენილი დიაგრამები დანომრილია მოცემული ანკეტის ცხრილების ნუმერაციის შესაბამისად)

1. ზოგადი მონაცემები

კვლევა ჩატარდა 30 ბენეფიციარზე, რომელთაც ჰქონდათ 20-21 ივნისს აქციაზე სპეციალური პოლიციური საშუალებებით ტრავმატიზაციის სხვადასხვა გამოცდილება. კვლევა მიმდინარეობდა 2020 წლის 27 მაისიდან - 3 სექტემბრის პერიოდში.

ცხრილი N1.1.5. რესპონდენტთა ასაკობრივი კატეგორია [რაოდენობა], %



გამოკვლეულ რესპონდენტთა უმრავლესობა - 77% იყო 40 წლამდე ასაკის, ხოლო აქციაზე დაზარალებულთა 50% შეადგენდნენ 18 – 30 წლამდე ახალგაზრდებს; 23% კი იყო 41 – 50 წლის ასაკისა და ზევით.

ცხრილი N 1.1.8. რესპონდენტთა განათლების საფეხური [რაოდენობა], %



ცხრილი N1.1.8. - ის მიხედვით გამოკვლეულთა 67% იყო უმაღლესი განათლების მქონე. აქედან 67% შეადგენდა მამრობითი სქესის რესპონდენტს, ხოლო 33% - მდედრობითს. აქედან 57% დაქორწინებული, 3% განქორწინებული და 40% დასაოჯახებელი. ცხრილი N1.1.14. - ის მიხედვით შშმ პირის სტატუსი დარბევამდე გააჩნდა 1 ადამიანს (3%), ხოლო გამოკვლეულთა 97% პრაქტიკულად იყო ჯანმრთელი. გამოკვლეულთა 100% (ცხრილი N1.1.18.) არ იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოყოფი პირის სტატუსით მოსარგებლე.

ცხრილი N1.1.12: რესპონდენტთა სქესი [რაოდენობა], %



ცხრილი N1.1.13. რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა [რაოდენობა], %

ცხრილი N1.1.14. რესპონდენტთა შშმ პირის სტატუსი [რაოდენობა], %



ცხრილიN1.1.18. სიღარიბის ზღვარს მიღმა სტატუსის მქონე ოჯახი [რაოდენობა], %





ამგვარად, (ცხრილი N1.1.19.) გამოკვლეულთა 17%-ს ანამნეზური მონაცემებით გამოეკვეთა ალერგიულობა, რაც შესაძლოა დისპოზიცია ყოფილიყო სპეციალური პოლიციური საშუალებებით, კერძოდ, „წიწაკის გაზით“ ინტოქსიკაციის შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ გართულებებისა. ასევე, კვლევის შედეგად, თავდაპირველი ანამნეზის შესწავლით დადგინდა, რომ რესპონდენტთა 63%-ს 20-21 ივნისის შემთხვევამდე ჰქონდა ჩატარებული ქირურგიული ჩარევა, ხოლო 63%-ს - სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადება, გამოკვლეულთა 80% არ აღნიშნავდა რაიმე სახის ქრონიკულ დაავადებას.

ამგვარად, დაზარალებულთა უმრავლესობა იყო ფსიქო - ფიზიკურად ჯანმრთელი 20-21 ივნისის სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენებამდე, ხოლო დაახლოებით 20% შეადგენდა რისკის ჯგუფს დაავადების გამწვავებისათვის.



გამოკვლეულთა 30%-ს ჰქონდა კერძო სამედიცინო დაზღვევა, 53%-ს სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევა, ხოლო 17 % -ს სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონია.





მოცემული სტატისტიკური მონაცემებით, ცხრილი: 1.1.23. 1.1.25. 1.1.26: მავნე ჩვევები და დამოკიდებულების პრობლემები არ იკვეთება, მხოლოდ გამოკვლეულთა 53% აღნიშნავს თამბაქოს მოხმარებას, რესპონდენტთა 27% აღნიშნავს ძილის პრობლემებს 20-21 ივნისის მოვლენებამდე და 13% აღნიშნავს სხვადასხვა სახის ნევროტული პრობლემების არსებობას.

ცხრილი 1.1.26: 20/21 ივნისამდე მიგიმართავთ თუ არა ფსიქოლოგის ან ფსიქიატრისათვის ნევროტული პრობლემების გამო?
[რაოდენობა], %



რესპონდენტთა 100 % იყო საქართველოს მოქალაქე, მათ შორის, ერთ ადამიანს ასევე ჰქონდა უკრაინის მოქალაქეობა.

ცხრილი: 1.4.1: რესპონდენტი დაკავებულ იქნა 20-21 ივნისს, 2019 წლის „გავრილოვის ღამის" მოვლენების დროს
[რაოდენობა], %



გამოკვლეულთა შორის 17% აღნიშნავს 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავების შემთხვევას, 7% - ადმინისტრაციული წესით პატიმრობას, ხოლო 7% - სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას.

გამოკვლეულთა 13% იყო სტუდენტი, 87% - მოსამსახურე, აქედან 80% - თვითდასაქმებული. გამოკვლეულთა 30% იყო მედიის წარმომადგენელი. რესპონდენტთა 7% ასევე იყო იძულებით ადგილნაცვალი პირის სტატუსის მქონე.

2. წამების ან/და არასათანადო მოპყრობის ისტორია (20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან დაკავშირებით)

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულთა 100% იმყოფებოდა 20-21 ივნისის ღამეს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ აქციაზე. მათ შორის, იყვნენ აქციის უშუალო მონაწილენი, ჟურნალისტები და მედიის სხვა წარმომადგენელნი, რომელნიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ; ასევე სხვა პირები, მაგალითად მშობელი, რომელიც საკუთარ შვილს ეძებდა. მაშასადამე, ყველა მათგანი იყო ტრაგიკული, უჩვეულო, სტრესული მოვლენის მომსწრე, რაც მიუთითებს, რომ მათ გადაიტანეს ტრავმული - სტრესული მოვლენა.

2.2. როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა მიტინგი (აქცია) მშვიდობიანი? [რაოდენობა], %



გამოკვლეულთაგან მხოლოდ ერთმა პიროვნებამ მიუთითა, რომ მიტინგი არ იყო მშვიდობიანი, 97% აღნიშნავდა საპროტესტო აქციის მშვიდობიან ხასიათს. გამოკვლეულთა 7%-მა განაცხადა, რომ ძალის გამოყენება აქციის დასაშლელად იყო საჭირო, ხოლო 93%-მა აღნიშნა, რომ ვერ ხედავდა ძალის გამოყენების საჭიროებას. მხოლოდ ერთმა პირმა აღნიშნა, რომ სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენება იყო ნაწილობრივ მიზანშეწონილი, ხოლო გამოკვლეულთა 97% ამგვარი საშუალებების გამოყენების საჭიროებას უარყოფდა. რაც შეეხება საპროტესტო აქციის დაშლისა და სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების შესახებ ინფორმირებას, გამოკვლეულთა 87% ზუსტად ვერ ასახელებს, ხოლო 13% აღნიშნავს, რომ არ იცის, განხორციელდა თუ არა შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული აქციის სპეციალური პოლიციური საშულებებით დაშლის შესახებ მათი წინასწარი ინფორმირება პრაქტიკულად არ მომხდარა.

ცხრილი N2.6. რომელი საათი იქნებოდა, როდესაც დაიწყო მიტინგის დაშლა?[რაოდენობა], %



ცხრილი N2.7. იყო თუ არა ხმამაღლა გაფრთხილება, რომ იწყებოდა მიტინგის დაშლა? [რაოდენობა], %



პრაქტიკულად გამოკითხულთა 80% - მა აღნიშნა, რომ ხმამაღალი გაფრთხილება აქციის დაშლის თაობაზე არ ყოფილა, აქედან 10% - მა განაცხადა, რომ არ იცის, ხოლო გამოკვლეულთა 10% აცხადებდა, რომ ამგვარი გაფრთხილება იყო. თუმცა, ამასთან მიმართებაში საყურადღებოა, რომ აქციის დაშლის დაწყების დროს რესპონდენტები ვერ ასახელებენ, რაც, როგორც მინიმუმ, აქციის დაშლის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას არ ადასტურებს.

გამოკვლეულთა 60% აღნიშნავს, რომ მიიღო რეზინის ტყვიებით მიყენებული ცეცხლნასროლი ჭრილობა, 67% ადასტურებს „წიწაკის გაზით“ მოწამვლას, 93% კი შემსწრეა სხვა ადამიანების მიერ სერიოზული ტრავმების მიღებისა. შეკითხვაზე, თუ რითი მიიღეს ტრავმული დაზიანება, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 68% - მა ტრავმული დაზიანება მიიღო რეზინის ტყვიებით, 10% - მკვრივი ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით, 27% აღნიშნავს სხეულის სხვადასხვა არეში მიყენებულ ტრავმულ დაზიანებას მკვრივი ბლაგვი საგნით, 7% აღნიშნავს გაქცევისას, არეულობაში ტრავმირების ფაქტებს, 7% - გაზის კაფსულით დაზიანებას, ხოლო 10% - სხვა სახის დაზიანებებს. ამგვარად, ჯამური 129% მიუთითებს, რომ რესპონდენტები აღნიშნავენ ერთზე მეტი სახის დაზიანების მიყენების მეთოდს (ცხრილი N2.12.).

ცხრილი N2.12: რითი მიიღეთ ტრავმული დაზიანება? [რაოდენობა], %



ტრავმული დაზიანებების არსებობის შემთხვევაში, დაისვა დამაზუსტებელი შეკითხვები, რომლებზეც გაიცა შემდეგი სახის პასუხები:

ცხრილი N: 2.12_6. რითი მიიღეთ ტრავმული დაზიანება? (კითხვა დაესვა მათ, ვინც კითხვაზე - რითი მიიღეთ ტრამვული დაზიანება უპასუხა "სხვა", სულ 3 რესპონდენტი).	რაოდენობა	პროცენტი (%)
წარბი გამისკდა მარჯვენა მუშტის დარტყმით, მარჯვენა თვალში სისხლჩაქცევა. მთელი სხეული - დაზიანებები მუხლებზე, ნახეთქები მიწაზე თრევისგან.	1	33.3
ცრემლსადენი გაზით, აღმენიშნებოდა გულის რევა შემდეგ დღეს.	1	33.3
ცრემლსადენი გაზის შესუნთქვის შედეგად	1	33.3
სულ	3	100.0

აღნიშნული დამატებითი განმარტება (ცხრილი 2.12_6.) მიუთითებს, რომ ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მუშტებისა და წიხლების გამოყენებით თავის არეში ცემის ფაქტს.

ცხრილი N: 2.12 სხეულის რა ნაწილში მიიღეთ ტრავმული დაზიანება? (კითხვა დაესვა მათ, ვინც კითხვაზე რითი მიიღეთ ტრამვული დაზიანება, მონიშნა ერთი პასუხი მაინც, სულ 28 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
სუნთქვის უკმარისობა (გაზით მოწამვლისას)	2	7.1
მუცლის არეში	2	7.1
გულმკერდის, მხრისა და ბარძაყის არეში	1	3.6
სახის არეში	2	7.1

სახის არეში, თვალში	1	3.6
კეფის არე, სუნქთვის უკმარისობა	1	3.6
თვალის არეში	2	7.1
მენჯის არეში	1	3.6
მთელი სხეული, სახე	1	3.6
თავი, გულმკერდის არე, კიდურები	1	3.6
სახის, ნეკის, თითისა და ფეხის არეში.	1	3.6
თავის არეში	1	3.6
ფეხში, გულმკერდში, ყელში და ყბის არეში	1	3.6
წელის არეში, გულმკერდის არეში	1	3.6
ნეკნი	1	3.6
ზედა კიდურებზე	4	14.3
ქვედა კიდურებზე	4	14.3
ყურის არეში	1	3.6
სულ	28	100.0

ცხრილი 2.12. - ის მიხედვით, დაზიანებათა უმრავლესობა ადამიანებს მიღებული აქვს წელის ზედა მიდამოში, (28 შემთხვევიდან 21 შემთხვევაში - 76%) ორმა ადამიანმა აღნიშნა, რომ მოიწამლა გაზით, ორ ადამიანს მიღებული აქვს დაზიანებები როგორც წელს ზევით, ასევე წელს ქვევით მიდამოში.

აღნიშნული ადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სტანდარტის დარღვევას სპეციალური პოლიციური საშულებებით მიტინგის დაშლისას, კერძოდ, გამოკვლეულთა უმრავლესობამ დაზიანებები რეზინის ტყვიების გამოყენებისას მიიღო წელს ზევით არეში, მათ შორის, სახისა და თავის არეში.

ცხრილი 2.13. გამოყენებული რეზინის ტყვიის შემთხვევაში, დაახლოებით რა მანძილიდან განხორციელდა სროლა? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ მოხვდა რომელიმე სახის ტყვია, სულ 20 რესპონდენტი).	რაოდენობა	პროცენტი (%)
არ ვიცი	7	35.0
5 მეტრამდე	2	10.0
5 - 10 მეტრამდე	3	15.0
10 - 20 მეტრამდე	6	30.0
20 მეტრი და მეტი	2	10.0
სულ	20	100.0

ცხრილი N2.13. - ის მიხედვით, გამოკვეული 20 ადამიანიდან, რომლებმაც მიიღეს რეზინის ტყვიებით დაზიანებები, 35% ასახელებს, თუ რა მანძილიდან განხორციელდა სროლა; 10% აღნიშნავს, რომ სროლა განხორციელდა 5 მეტრამდე მანძილიდან; 15% აღნიშნავს, რომ სროლას ადგილი ჰქონდა 5 – 10 მეტრიდან; 30% აღნიშნავს, რომ სროლა განხორციელდა 10 – 20 მეტრის მანძლიდან; 10% აღნიშნავს, რომ გასროლა განხორციელდა 20 მეტრზე მეტი მანძილიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილი N 2.14 - ის მიხედვით, გამოკვლეულთა 60% თვლის, რომ ტყვიები ესროლეს წელსზედა მიდამოში სპეციალური დამიზნებით.

ცხრილი 2.14 იყო თუ არა ნასროლი პირდაპირი დამიზნებით სხეულის წელსზევით მიდამოში? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ მოხვდა რომელიმე სახის ტყვია, სულ 20 რესპონდენტი).	რაოდენობა	პროცენტი (%)
არ ვიცი	5	25.0
არა	3	15.0
დიახ	12	60.0
სულ	20	100.0

ცხრილი 2.15 რამდენი ტყვია მოგხვდათ? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ მოხვდა რომელიმე სახის ტყვია, სულ 20 რესპონდენტი) ცვლადის აღწერა

მინიმალური რაოდენობა	მაქსიმალური რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
1.00	11.00	3.3000	3.07964

ცხრილი 2.16 რა ტიპის ტყვიები მოგხვდათ? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ მოხვდა რომელიმე სახის ტყვია, სულ 20 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
არ ვიცი	1	5.0
რაკეტის ფორმის, ნარინჯისფერი, ე.წ. „დათვის ტყვია“	5	25.0
მრგვალი, შავი ფერის, „საფანტისებრი“ ტყვია	10	50.0
სხვა	2	10.0
ორივე - მრგავლი, შავი ფერის და რაკეტის ფორმის, ნარინჯისფერი	2	10.0
სულ	20	100.0

ცხრილი N2.15. - ის მიხედვით, ერთ ადამიანს საშუალოდ მოხვდა 3 - ზე მეტი ტყვია, თუმცა, დიაპაზონი დიდია და მერყეობს 1-დან 11 ტყვიამდე. ცხრილი 2.18. - ის მიხედვით, რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი ნიშნის არსებობას რესპონდენტები პასუხობენ შემდეგნაირად: 15 მათგანი აცხადებს, რომ არ იცის, 5 აცხადებს, რომ არ ჰქონიათ. ცხრილი N2.16 - ის მიხედვით, 20 ადამიანიდან 25% აცხადებს, რომ მოხვდა რაკეტის ფორმის, ნარინჯისფერი, ე.წ „დათვის ტყვია;“ 50% - ის მონაცემებით - მრგვალი, შავი ფერის, „საფანტისებრი“ ტყვია, 10% - ის განმარტებით კი, მათ მოხვდათ ორივე სახის ტყვია.

ცხრილი 2.17 - ის მიხედვით, 20 % აცხადებს, რომ ზუსტად არ იცის, ვინ ისროდა ტყვიებს, ხოლო 80% აცხადებს, რომ სპეცრაზმი ისროდა ხალხის მიმართულებით. ამავდროულად, გამოკითხვის მონაცემებით, ცხრილი N2.18.- ის მიხედვით, სპეციალური დანიშნულების რაზმს რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები არ ჰქონდა.

ცხრილი 2.17 ვის მიერ განხორციელდა სროლა? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ მოხვდა რომელიმე სახის ტყვია, სულ 20 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
ზუსტად არ ვიცი, ალბათ სპეცრაზმმა	4	20.0
სპეცრაზმელის	15	75.0
ტყვიების ტრაექტორიით თუ ვიმსჯელებთ, ისინი პოლიციის კორდონიდან ისროლეს	1	5.0
სულ	20	100.0

ცხრილი 2.18 ჰქონდა თუ არა სპეცრაზმელს მაიდენტიფიცირებელი ნომერი? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ მოხვდა რომელიმე სახის ტყვია, სულ 20 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არ ვიცი	15	75.0
არა	5	25.0
სულ	20	100.0

აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირების 7% - დან, ანუ 5 პირიდან 4 პირი აღნიშნავს დაკავებასა და დაზიანების მიღებას პარლამენტიდან მოშორებით 2 კმ. რადიუსში, ხოლო მათგან ერთი პირი - სახლში დაკავების ფაქტს (ცხრილი 2.19).



ცხრილი 2.20 ჰქონდა თუ არა დაკავებისას ადგილი ფიზიკური ცემის ფაქტს? (კითხვა დაესვა, მათ ვინც, თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	1	20.0
დიახ	4	80.0
სულ	5	100.0

ცხრილი 2.21 ჰქონდა თუ არა დაკავებისას ადგილი ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ლანძღვა - გინებას? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
დიახ	5	100.0
სულ	5	100.0

ცხრილი 2.22_1 დაკავებისას გამოყენებული იქნა თუ არა პლასტმასის ხელბორკილები? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	2	40.0
დიახ	3	60.0
სულ	5	100.0

ცხრილი 2.22_2 პლასტმასის ხელბორკილების გამოყენების დრო (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
რამდენიმე საათი	2	40.0
3 საათი	1	20.0
არ მომხდარა პლასტმასის ხელბორკილების გამოყენება	2	40.0
სულ	5	100.0

ცხრილი 2.23 იყო თუ არა შესაძლებელი საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით დამკავებლის იდენტიფიცირება? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	5	100.0
სულ	5	100.0

ცხრილი 2.24 პატიმრობის პირობებში გაიარეთ თუ არა სამედიცინო შემოწმება? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	4	80.0
დიახ	1	20.0
სულ	5	100.0

ცხრილი 2.25 დაზიანებების შემთხვევაში, იქნა თუ არა დაფიქსირებული საპატიმროში დაზიანებები? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ დააკავეს, სულ 5 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	3	60.0
დიახ	2	40.0
სულ	5	100.0

ცხრილი N2.20 - დან ცხრილი N2.25. - ის მიხედვით, ირკვევა, რომ 5 დაკავებულიდან 4 ადამიანი აღნიშნავს ფიზიკური ზეწოლისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს, ხუთივე რესპონდენტი ადასტურებს ფსიქოლოგიური ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტს, 3 რესპონდენტი აღნიშნავს პლასტმასის ხელბორკილის გამოყენებას 3 საათის განმავლობაში, რაც ასევე განეკუთვნება სპეციალურ პოლიციურ საშუალებებს. ხუთივე დაკავებულის შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლებს არ ჰქონიათ დამკავებელთა იდენტიფიცირების დამადასტურებელი რაიმე ნიშანი. დაპატიმრებისას სამედიცინო შემოწმება გაიარა მხოლოდ 1-მა დაკავებულმა, 3 შემთხვევაში საპატიმროში დაზიანებები არ დაფიქსირებულა.

ცხრილი N 2.26. დაზიანებების შემთხვევაში იყავით თუ არა გადაყვანილი სამედიცინო დაწესებულებაში [რაოდენობა], %

ცხრილი N2.26 - ის მიხედვით, დაზარალებულთა 53% (16 ადამიანი) გადაყვანილი იქნა სამედიცინო დაწესებულებაში. ცხრილი N2.27 - ის მიხედვით 47% (14 ადამიანი) აღნიშნავს ადგილზე დახმარებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ, ხოლო ცხრილი N2.27.1 - ასახავს სამედიცინო დახმარებას ჰოსპიტალურ სექტორში.

ცხრილი N2.27. თუ აღმოგეჩინათ სამედიცინო დახმარება ადგილზე? [რაოდენობა], %

ცხრილი N2.27.1. თუ აღმოგეჩინათ სამედიცინო დახმარება? გადაყვანა [რაოდენობა], %



ცხრილი 2.28 სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, გადმოგეცათ თუ არა ხელზე ფორმა N100? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა ან სსდ ბრიგადამ, ან გადაყვანილი იქნა სამედიცინო დაწესებულებაში, სულ 20 რესპონდენტი)		
	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	8	40.0
დიახ	12	60.0
სულ	20	100.0

ცხრილი 2.29 განგემარტათ თუ არა, რომ უფლება გქონდათ მიგეღოთ სრული სამედიცინო დოკუმენტაცია? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა ან სსდ ბრიგადამ ან გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში, სულ 20 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
არა	20	100.0
სულ	20	100.0

ცხრილი 2.28 და ცხრილი 2.29. - ის მიხედვით, გამოსაკვლევი პირები სრულად ინფორმირებულნი არ ყოფილან პაციენტის უფლებების შესახებ, მხოლოდ 12 ადამიანს გადაეცა ხელზე ფორმა N100, ხოლო სრული სამედიცინო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, მათ შორის, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ხელმისაწვდომობაზე, არც ერთი რესპონდენტი 20 ადამიანიდან ინფორმირებული არ ყოფილა.

ცხრილი 2.30 პატიმრობის შემთხევაში, რამდენი ხანი იმყოფებოდით პატიმრობაში? (კითხვა დაესვა მათ, ვინც დააკავეს და თან პატიმრობაში ყოფნაც მოუწიათ, სულ 3 რესპონდენტი)		
	რაოდენობა	პროცენტი (%)
9 თვე	1	33.3
3 დღე	1	33.3
3 თვე	1	33.3
სულ	3	100.0

ცხრილი 2.31 იყო თუ არა საპატიმროში სათანადო პირობები? (კითხვა დაესვა მათ, ვინც დააკავეს და თან პატიმრობაში ყოფნაც მოუწიათ, სულ 3 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
არა	1	33.3
დიახ	1	33.3
ერთ საპატიმროში კი, ხოლო მეორეში - არა	1	33.3
სულ	3	100.0

ცხრილი 2.32 ჰქონდა თუ არა საპატიმროში თქვენზე ფიზიკურ ძალადობას ადგილი? (კითხვა დაესვა მათ, ვინც დააკავეს და თან პატიმრობაში ყოფნაც მოუწიათ, სულ 3 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
არა	3	100.0
სულ	3	100.0
ცხრილი 2.33 ჰქონდა თუ არა თქვენზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ადგილი დანაშაულის აღიარების მოთხოვნით? (კითხვა დაესვა მათ, ვინც დააკავეს და თან პატიმრობაში ყოფნაც მოუწიათ, სულ 3 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	2	66.7
დიახ	1	33.3
სულ	3	100.0

ცხრილი 2.33 ვის მიერ ჰქონდა თქვენზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ადგილი დანაშაულის აღიარების მოთხოვნით? (კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობას, სულ 1 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
პროკურატურის მიერ	1	100.0
სულ	1	100.0

ცხრილი 2.33 სად ჰქონდა თქვენზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ადგილი დანაშაულის აღიარების მოთხოვნით? (კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობას, სულ 1 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
N18 დაწესებულებაში	1	100.0
სულ	1	100.0

ცხრილი 2.34 ჰქონდა თუ არა თქვენს მიმართ ზეწოლას ადგილი, რათა დაგედანაშაულებინათ საპროტესტო აქციის სხვა მონაწილე? (კითხვა დაესვა მათ, ვინც დააკავეს და თან პატიმრობაში ყოფნაც მოუწიათ, სულ 3 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არა	2	66.7
დიახ	1	33.3
სულ	3	100.0

ცხრილი 2.34 ვის მიერ ჰქონდა თქვენზე ზეწოლას ადგილი, რათა დაგედანაშაულებინათ საპროტესტო აქციის სხვა მონაწილე? (კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას, რომ აქციის სხვა მონაწილე დაედანაშაულებინა, სულ 1 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
გამომძიებლის, პროკურატურის თანამშრომლების, სასულიერო პირის მიერ	1	100.0
სულ	1	100.0

ცხრილი 2.34 სად ჰქონდა თქვენს მიმართ ზეწოლას ადგილი, რათა დაგედანაშაულებინათ საპროტესტო აქციის სხვა მონაწილე? (კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას, რომ აქციის სხვა მონაწილე დაედანაშაულებინა, სულ 1 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
N18 დაწესებულებაში	1	100.0
სულ	1	100.0

მოცემული ცხრილების, 2.30. – 2.34. - ის, მიხედვით, 3 დაკავებულიდან (3 თვიდან 9 თვემდე პერიოდში), ერთმა აღნიშნა პატიმრობის პერიოდში ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტი, სხვისი დადანაშაულების მოთხოვნის სახით, პროკურატურის თანამშრომლის მხრიდან, რასაც ადგილი ჰქონდა მე-18 დაწესებულებაში; ასევე ერთი რესპონდენტი აღნიშნავს ციხეში არასათანადო პირობებში ყოფნას.

3. მწვავე შედეგები (2019 წლის 20-21 ივნისს „გავრილოვის ღამის“ შედეგად მიღებული)

3.1. მწვავე ფიზიკური შედეგები:

ცხრილი N3.1. ის მიხედვით: ფიზიკური შედეგები - დაზიანების ტიპი
[რაოდენობა], %



ფიზიკური შედეგები - თავის ტვინის მწვავე ტრავმა გონების დაკარგვით ან გონების დაკარგვის გარეშე
[რაოდენობა], %



ცხრილი 3.1. ფიზიკური შედეგები - ჭრილობა [რაოდენობა], %



აღნიშნული გრაფიკული გამოსახულებით ირკვევა, რომ წელს ზევით დაზიანება მიიღო გამოკვლეულთა 47% - მა, ხოლო სხვა ტიპის, კომბინირებული ტრავმა - 27% - მა. თავის ტვინის ტრავმული დაზიანება მიიღო რესპონდენტთა 33% -მა, მათ შორის, 10% - ში ადგილი ჰქონდა გონების დაკარგვის ეპიზოდს.

გრაფიკული გამოსახულება ასახავს ჭრილობის მიყენებას შემთხვევათა 76%-ში სხეულის წელსზევით მიდამოში, რაც ადასტურებს რეზინის ტყვიების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას.

კვლევის შედეგებით სხვა დაზიანებები შემდეგნაირად გადანაწილდა: მწვავე სისხლდენა - 16 შემთხვევა (53%), დამწვრობა - 1 ადამიანი (3%), მოტეხილობა - 6 ადამიანი (20%), ტკივილით გამოწვეული შოკი - 8 ადამიანი (27%), გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა - 1 ადმიანი (3 %), სუნთქვის უკმარისობა - 19 ადამიანი (63%), ნერვ - კუნთოვანი დაზიანება - 2 ადამიანი (7 %), სხეულის სხვადასხვა მიდამოს დაჟეჟილობა - 22 ადამიანი (73%), სმენის აპარატის დაზიანება - 1 ადამიანი, ცხვირის ძგიდის დაზიანება, ასევე, 1 ადამიანი (3%). ცალკე არის გამოყოფილი მხედველობის დაზიანება (იხ. ქვევით დიაგრამა (ცხრილი 3.1.). ამგვარად, მხედველობის დაკარგვა აღნიშნა 3-მა ადამიანმა, მათგან 1 აღნიშნავს მხედველობის ორგანოს ტრავმას, მხედველობის მკვეთრი დაქვეითებით; 2 აღნიშნავს მხედველობის ორგანოს ტრავმას მხედველობის ორგანოს სრული დაკარგვით.

ცხრილი 3.1. ფიზიკური შედეგები - მხედველობის დაზიანება [რაოდენობა], %



3.2. 20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ შედეგად მიღებული ფსიქიკურ/ფსიქოლოგიური რეაქციები მწვავე პერიოდში

ცხრილი 3.2.: ფსიქიკურ/ფსიქოლოგიური რეაქციები მწვავე პერიოდში [რაოდენობა], %



ამგვარად, ფსიქიკურ/ფსიქოლოგიური შედეგების ცხრილის მიხედვით, 100% აღნიშნავს უსამართლობის განცდას, 53% - ში გამოვლინდა თვითდანაშაულის განცდა, 90% აღნიშნავს, რომ ეს იყო დასჯის მიზნით განხორციელებული სპეცოპერაცია, 57% აღნიშნავს უმწეობის განცდას, ხოლო 90% მიიჩნევდა, რომ ეს იყო სასტიკი დარბევა, რომლის შედეგადაც შესაძლოა მომკვდარიყო. აღნიშნული მონაცემებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 90%-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რესპონდენტთა ძლიერ ტრავმირებას, მათ ცხოვრებაში განსაკუთრებულ სტრესულ მოვლენას, სიკვდილის შიშის ფონზე.

4. სამედიცინო დახმარება მწვავე პერიოდში (20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ დაზარალებულთა მიმართ მომდევნო ერთი თვის განმავლობაში)

მონაცემების მიხედვით, მწვავე პერიოდში, ადგილზე დახმარება აღმოეჩინა 14 ადამიანს, სტაციონარში გადაიყვანეს 16, რომელთაგან ერთმა უარი განაცხადა სამედიცინო მომსახურებაზე. ცხრილი 4.4. - ის მიხედვით, 20 რესპონდენტიდან 15 (75%) - მა განაგრძო ამბულატორული მკურნალობა.

ცხრილი 4.4 დახმარება - ჰოსპიტალის შემდეგ განვაგრძობდი ამბულატორულად მკურნალობას (კითხვა დაესვა მათ, ვისაც შეხება ჰქონდა ექიმთან, სულ 20 რესპონდენტი)	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
არა	5	25.0
დიახ	15	75.0
სულ	20	100.0

30 რესპონდენტიდან 21 - მა განაცხადა, რომ მკურნალობდა ამბულატორულად, სტაციონარულად, ასევე სახლის პირობებში. მათგან 7 ადამიანი განაგრძობს ამბულატორულ მკურნალობას გამოკვლევის მომენტისათვის.

ცხრილი 4.5 რამდენი ხანი მკურნალობდით? (კითხვა დაესვა მათ, ვინც არ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, მაგრამ იმკურნალა სახლის პირობებში, ან იმკურნალა სამედიცინო დაწესებულებაში, სულ 21 რესპონდენტი)		
	რაოდენობა	**პროცენტი (%)**
2 დღე	1	4.8
1 კვირა	1	4.8
2 კვირა	4	19.0
1 თვე	1	4.8
1-დან 2 თვემდე	5	23.8
2 თვე და მეტი	1	4.8
დღემდე, როცა რამე პრობლემა მაქვს	7	33.3
რამდენიმე დღე	1	4.8
სულ	21	100.0

ცხრილი 4.6 რა სახის მკურნალობას გადიოდით, კონსერვატიულს თუ ჩაგიტარდათ ქირურგიული ოპერაცია? (კითხვა დაესვა მათ, ვინც მკურნალობდა, სულ 21 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
კონსერვატიულს	14	66.7
ჩამიტარდა ოპერაცია	7	33.3
სულ	21	100.0

21 ადამიანიდან 7 გამოკვლეულს (33 %) ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, ხოლო 67% გადიოდა კონსერვატიულ მკურნალობას, ერთი მათგანი ექიმთან მიმართვის გარეშე.

ცხრილი 4.7_1 ვინ გადაიხადა თქვენი მკურნალობის საფასური? (კითხვა დაესვა მათ, ვინც მკურნალობდა, სულ 21 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
არ ვიცი	2	9.5
სახელმწიფო/საყოველთაო დაზღვევა	4	19.0
მე/ოჯახმა	5	23.8
ფონდი „ქართუ“	3	14.3
კერძო დაზღვევამ	2	9.5
1) საყოველთაო დაზღვევამ; 2) ოჯახმა; 3) ცენტრი „ემპათია“	1	4.8
1) კერძო დაზღვევა; 2) ცენტრი „ემპათია“	1	4.8
ცენტრი „ემპათია“	2	9.5
1)მე/ოჯახმა; 2) ცენტრი „ემპათია“	1	4.8
სულ	21	100.0

აღსანიშნავია, რომ 3 შემთხვევაში, რესპონდენტის განცხადების მიხედვით, მკურნალობის თანხა გადაიხადა - ფონდმა „ქართუ”-მ თუმცა, გადახდის იურიდიული საფუძველი უცნობია.

ცხრილი 4.11 სამედიცინო პერსონალთან განაცხადეთ თუ არა, თუ რა ვითარებაში მიიღეთ აღნიშნული დაზიანებები? (კითხვა დაესვა მათ, ვინც მიმართა/შეხება ჰქონდა ექიმთან, სულ 20 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
დიახ	20	100.0
სულ	20	100.0

აღსანიშნავია, რომ 20 რესპონდენტი მკურნალობას გადიოდა სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო ერთმა ჩაიტარა სახლში თვითმკურნალობა. 20 რესპოდენტიდან 10 - მა (50%) განაცხადა, რომ საქმის ვითარება, ანუ რა გარემოებებში მიიღო დაზიანებები, სრულად არ იქნა დაფიქსირებული სამედიცინო დოკუმენტაციაში. (ცხრილი 4.12.).

ცხრილი 4.12 სრულად იქნა თუ არა აღწერილი ვითარება სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციაში?	რაოდენობა	პროცენტი (%)
არ ვიცი, არ მინახავს დოკუმენტი	2	10.0
არა	10	50.0
დიახ	8	40.0
სულ	20	100.0

5. მოგვიანებითი პრობლემები/ქრონიკული შედეგები



3-მა ადამიანმა 20 - 21 ივნისს სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების შედეგად დაკარგა მხედველობა.



15 (50 %) გამოკვლეული აღნიშნავს ნაწიბურის არსებობას მოგვიანებით პერიოდშიც.



5.3 ქრონიკული შედეგები - მქონდა თავბრუსხვევა - რამდენი ხანი? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ აღენიშნებოდა თავბრუსხვევა, სულ 19 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
1 საათი	1	5.3
5 დღემდე	10	52.6
რამდენიმე დღე	2	10.5
2-3 კვირა	2	10.5
1 თვე	1	5.3
ახლაც აღმენიშნება	3	15.8
სულ	19	100.0

5.4 ქრონიკული შედეგები - ტკივილი თავის, კისრის, ზურგის, კიდურების მიდამოში- რამდენი ხანი? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ აღენიშნებოდა ტკივილები თავის, კისრის, ზურგისა და კიდურების მიდამოებში, სულ 23 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
10 საათი	1	4.3
3 დღემდე	5	21.7
1 - 2 კვირამდე	6	26.1
2-3 კვირამდე	1	4.3
1 -2 თვე	4	17.4
ახლაც აღმენიშნება	6	26.1
სულ	23	100.0
5.5 ქრონიკული შედეგები - მქონდა გულისრევის შეგრძნება - რამდენი ხანი? (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ ჰქონდა გულისრევის შეგრძნება, სულ 13 რესპონდენტი)	რაოდენობა	პროცენტი (%)
ახლაც აღმენიშნება	1	7.7
1 - 3 დღე	8	61.5

1 კვირა	1	7.7
სულ	13	100.0

აღნიშნული ცხრილები 5.3 – 5.5. მიუთითებს, როგორც მიტინგის დარბევის დროს მიღებულ ქალა - ტვინის ტრავმაზე, ასევე, შემდგომში აღნიშნული ტრავმის ნარჩენ მოვლენებზე და გადატანილ დისტრესზე.





დიაგრამაზე მოყვანილი მონაცემები, რომლებიც შეესაბამება ცხრილი 5.6.- დან ცხრილი 5.8.- მდე მონაცემებს, მიუთითებს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომებზე, კერძოდ, "განმეორებითი" ჯგუფისა და "განდევნის" ჯგუფის სიმპტომოკომპლესზე, 18 (60%) რესპონდენტი გამოკვლეულთაგან აღნიშნავს აკვიატებულობის სიმპტომოკომპლექსს ტრავმული მოვლენის კლინიკურ სურათში ასახვით, ხოლო 17 (57%) - "განდევნის" ანუ "არიდების" ჯგუფის სიმპტომებს.



ცხრილი 5.9. და ცხრილი 5.10. (შესაბამისი დიაგრამებით), მიუთითებს პოსტტრავმული სტრესული აშლილობისთვის დამახასიათებელ მოჭარბებული სიფხიზლის განცდის სიმპტომოკომპლექსსა და გაღიზიანებადობის მომატებაზე. გამოკვლეულთა 60% (18 ადამიანი) აღნიშნავდა, რომ გამოღვიძებისას ჰქონდა განცდა, რომ „მოვლენა“ კვლავ მეორდებოდა, (Flashback) 30% (9 ადამიანი) მიუთითებდა ძილის დარღვევაზე, ხოლო 67% (20 ადამიანი) აღნიშნავდა გაღიზიანებადობის მომატებას.



6. სამედიცინო დახმარება მოგვიანებით პერიოდში (2019 წლის 20-21 ივნისიდან ერთი თვის შემდეგ)

ცხრილი 6.1. სამედიცინო დახმარება მოგვიანებით პერიოდში [რაოდენობა], %



ცხრილი 6.1. - ის მიხედვით (შესაბამისი დიაგრამა), ტრავმული სტრესული მოვლენიდან 1 თვის შემდეგაც სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა 4 გამოკვლეული (13 %); 11 გამოკვლეული (37%) გადიოდა ამბულატორულ მკურნალობას, ხოლო 3 ადამიანი (10%) იტარებდა თვითმკურნალობას სახლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილ 6.2. - ში (შესაბამისი დიაგრამა) ასახულია სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების სახეები, რასაც გამოკვლეულმა პირებმა მიმართეს ტრავმული - სტრესული სიტუაციიდან 1 თვის შემდგომ პერიოდში. 18 ადამიანი (60%) აცხადებდა, რომ სჭირდებათ რეაბილიტაცია გადატანილი ტრავმული - სტრესული სიტუაციის გამო (ცხრილი 6.3. - შესაბამისი დიაგრამა).

ცხრილი 6.2. სამედიცინო დახმარება მოგვიანებით პერიოდში [რაოდენობა], %





7. გამოძიება (20-21 ივნისის „გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან დაკავშირებით)



გამოძიების ეტაპზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას აღნიშნავდა 2 ადამიანი (7%); ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ტრავმული სტრესის შედეგებთან დაკავშირებით არ ჩატარებია არც ერთ გამოკვლეულს. 2 ადამიანი აღნიშნავდა კომისიური ექსპერტიზის ჩატარებას, თუმცა, აღნიშნული ექსპერტიზა ჩატარდა ცენტრ „ემპათია“ - ში და არა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ამავდროულად, ცხრილი 7.2. - ის მიხედვით ირკვევა, რომ შსს-ს გამომძიებლის მიერ გამოიკითხა ერთი რესპონდენტი, ხოლო პროკურატურის თანამშრომლის მიერ 17 (57%), თუმცა ადეკვატური საექსპერტო მომსახურება, მიუხედავად იმისა, რომ ჰოსპიტალური სექტორიდან ამოღებულ იქნა სამედიცინო დოკუმენტაცია, მათ არ ჩატარებიათ. ცხრილი 7.3. (შესაბამისი დიაგრამა) მიუთითებს იმაზე, რომ ნივთმტკიცების სახით მხოლოდ 2 შემთხვევაში იქნა ამოღებული რეზინის ტყვია და ტანსაცმელი, 3 შემთხვევაში - ფოტო - ვიდეო მასალა, რაც ასევე მიუთითებს გამოძიების არაეფექტურობაზე.

ცხრილი 7.2. იყავით თუ არა გამოკითხული ... ?
[რაოდენობა], %



ცხრილი 7.3. ნივთმტკიცების სახით, გამოძიების მიერ ამოღებული იქნა თუ არა თქვენგან მატერიალური ნივთმტკიცებულებები?
[რაოდენობა], %



IV. კვლევის შეზღუდვები

კვლევა ჩატარდა მხოლოდ 30 ბენეფიციარზე, რომელთა მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, საკუთარი მომართვისა და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. კვლევაში მონაწილეთა რიცხვის გაზრდა ვერ მოხერხდა ადამიანური რესურსებისა და პროექტის შესაძლებლობების ლიმიტის გათვალისწინებით. კვლევის პერიოდში არ იქნა მიღებული ამომწურავი პასუხები შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან, კერძოდ, ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტრობიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან. შეუძლებელი გახდა შესაბამისი კლინიკებიდან პაციენტთა შესახებ სრული დოკუკმენტაციის მოპოვება, ვინაიდან დოკუმენტაციის ორიგინალები საქართველოს პროკურატურის მიერ იქნა ამოღებული, მათი ასლები კი კლინიკებს არ მოეპოვებოდა.

V. 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები და სპეციალური საპოლიციო ღონისძიება: საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდაეროვნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი

1. 2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული სპეციალური საპოლიციო ღონისძიება და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევები

1.1. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“

„პოლიციის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი აწესებს პოლიციის საქმიანობის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს.

ამავე მუხლის მიხედვით, სამართალდამცავის მიერ პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები მკაფიოდ განმარტავს პოლიციის საქმიანობის პრინციპებს, რომელთა დარღვევაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იწვევს პოლიციელის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ზემოთ ჩამოთვლილ ნორმათა ერთობლიობა ქმნის კვლევისათვის რელევანტური პრინციპების ჯაჭვს, რომელთა განუხრელი დაცვა აუცილებელია კანონიერი და ლეგიტიმური საპოლიციო ღონისძიების ჩატარების დროს და რომელთა უგულებელყოფაც პრინციპების დამრღვევის მიმართ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია. ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ სამართლებრივ დათქმებზე:

- პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას;
- კანონისმიერი დათქმის პრინციპის თანახმად, საპოლიციო ღონისძიების განხორციელება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, დასაშვებია მხოლოდ **კანონის საფუძველზე;**
- საპოლიციო ღინისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. აღნიშნული ნორმის განხილვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განიმარტოს ტერმინები **„გამოსადეგი“** და **„აუცილებელი.“** „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებით, საპოლიციო ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. საპოლიციო ღონისძიება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა ღონისძების ადრესატებსა და სხვა პირებს.
- პოლიცია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე თავი განსაზღვრავს სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების წესსა და კანონით დადგენილ ფარგლებს. კერძოდ, 31-ე მუხლის მიხედვით, პოლიციელი უფლებამოსილია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი ან სპეციალური საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სპეციალური მომზადება. იგივე მუხლი განმარტავს, რომ პოლიციელი ვალდებულია სპეციალური

საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიციელს ეკრძალება ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას ან დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, პოლიციელი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად იყენებს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აქტიური სპეციალური საშუალებები (მათ შორის არალეტალური იარაღი - არალეტალური ჭურვი) პირს მოკლე ვადით უსპობს პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს ან/და პოლიციელს ეხმარება საპოლიციო ფუნქციის შესრულებაში. ამასთან, არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი) გამოიყენება პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად, დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, დატოვოს დაკავებული ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა.

ცენტრი „ემპათია“-ს მიერ, კვლევის ფარგლებში მოპოვებული და გაანალიზებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სპეციალური საპოლიციო ღონისძიების დროს დაირღვა საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, როგორც პრინციპებისა და სტანდარტების, ასევე კონკრეტული ნორმატიული მოთხოვნების თვალსაზრისით, კერძოდ:

- [21]აღნიშნული საპოლიციო ღონისძიების დროს, ადგილი ჰქონდა დემონსტრანტების მიმართ პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტებს, რაც გამოიხატა დაკავების დროს პიროვნებების ფიზიკური შეურაცხყოფით, ცემით, დამამცირებელი მოპყრობით. (დაკავებისას პიროვნებებისათვის დარტყმა სახის არეში, სახეში შეფურთხება, პანღურის ამორტყმა)
- 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ ჩატარებული სპეციალური საპოლიციო ღონისძიების დროს დაირღვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კანონისმიერი დათქმის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ საპოლიციო ღონისძიების განხორციელება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და

[21] Konstantine Japaridze, “20 ივნისი- გავრილოვის ღამე“, 2019. 8.08, (0:16; 0:26; 0:54; 1:15-1:16; 1:24) [https://www.youtube.com/watch?v=EJAXjVpzx1g&fbclid=IwAR1ioro9LtWX4Zp33IsmgFyod3fM7tU6tibcNLNu3Yuin5T3h2uGroO-NYE]

თავისუფლებების შეზღუდვას, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე. განსჯისათვის მნიშვნელოვანია, განიმარტოს ტერმინი „კანონის საფუძველზე," რომლის დეფინირებისათვის გამოიყენება ე.წ. „ლეგიტიმურობა/ლეგალურობის ტესტი."

განხორციელებული საპოლიციო ღონისძიების ლეგალურობის განსიჯასთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ღონისძიების ჩატარების ფორმალური, კანონისმიერი საფუძვლები, აგრეთვე, ღონისძიების ჩატარების დოკუმენტური გამართულობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, სპეციალური საპოლიციო ღონისძიების ჩატარებისათვის არ გამოცემულა შესაბამისი წერილობითი ბრძანება.[22] საპოლიციო დანაყოფები მოქმედებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, მისი მოადგილეების (კახაბერ საბანაძის, ვლადიმერ ბოცვაძისა და ლევან კაკავას) თანხმობით დამტკიცებული გეგმის საფუძველზე, რომელსაც მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო." ამდენად, კვლევის განხორციელებისას შეუძლებელია შესწავლილ იქნეს ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დოკუმენტური საფუძველი. თუმცა, იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრ - გიორგი გახარიას, პრემიერ-მინისტრ - მამუკა ბახტაძისა და სხვა უმაღლესი და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოითქვას მაღალი ალბათობის ვარაუდი, რომ საპოლიციო ღონისძიების ჩატარების საფუძვლად, შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს პარლამენტის შენობის მომიტინგეთაგან დაცვის მოტივი. ამგვარი მოტივის არსებობა და საპოლიციო ღონისძიების შედეგები არავითარ თანხვედრაში არ მოდის, რამდენადაც მძიმედ დაშავებულ მომიტინგეთა უდიდეს ნაწილს ფიზიკური დაზიანებები მიადგა საქართველოს პარლამენტის შენობიდან რამდენიმე ათეული ან ასეული მეტრის მოშორებით, სადაც შეუძლებელი იყო საპოლიციო ღონისძიებას პარლამენტის შენობის დაცვის მიზანი ჰქონოდა. აგრეთვე, დადასტურებული ინფორმაციით, მძიმედ დაშავდა 38 ჟურნალისტი, რომელთა მიმართაც პარლამენტის შენობის დაცვის მოტივით სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების არავითარი ფაქტობრივი საჭიროება არ არსებობდა, რამდენადაც შეუძლებელია მედიის წარმომადგენლებისაგან რაიმე სახის საფრთხე დამუქრებოდა საქართველოს პარლამენტის შენობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მომიტინგეთა ნაწილის მიმართ განხორციელდა მიდევნება რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე, რაც გამორიცხავს დემონსტრანტების მხრიდან პარლამენტის შენობაზე თავდასხმის ფაქტის აღკვეთას პოლიციის შესაბამისი დანაყოფების თანამშრომელთა მიერ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი დაზარალებული პირის,

[22] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; წერილი N MIA 4 20 01 406 277; 24/06/2020

გ.ჭ.- ს მიმართ განხორციელდა მძიმე ფიზიკური ძალადობა (ცემა, დამამცირებელი მოპყრობა) მელიქიშვილის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც ორ კილომეტრზე მეტი მანძილითაა დაშორებული საქართველოს პარლამენტის შენობიდან. შესაბამისად, გ.ჭ.-ს ცემის ფაქტი შეუძლებელია შეფასებულ იქნეს, როგორც საქართველოს პარლამენტის შენობის დაცვის ღონისძიება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ვარაუდს, რომ აღნიშნული სპეციალური პოლიციური ღონისძიების ჩატარების სამართლებრივი, კანონისმიერი საფუძველი საქართველოს პარლამენტის შენობის მომიტინგეთაგან დაცვა იყო, ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით ცხადად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიციური ღონისძება, მისი ტაქტიკურ-საოპერაციო შესრულების თვალსაზრისით, აბსოლუტურ აცდენაშია სამართლებრივ მიზანთან, რაც გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ აღნიშნული პოლიციური ღონისძება არ შეესაბამება ლეგალურობის კრიტერიუმს.

1.2. სპეციალური საპოლიციო ღონისძიების ლეგიტიმურობა

1.2.1. საპოლიციო ღონისძიების ფორმალური ასპექტები

ჩატარებული სპეციალური პოლიციური ღონისძიების ლეგიტიმურობის საკითხი უნდა დავყოთ ორ თანაბარმნიშვნელოვან კომპონენტად:

- ღონისძიების ფორმალური გამართულობა;
- ღონისძიების მატერიალური ლეგიტიმურობა.

ფორმალური ასპექტების განხილვისას კვლევა ეყრდნობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N 1002 ბრძანებას „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც განსაზღვრულია შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს, პოლიციის დანაყოფების მიერ ძალის გამოყენების, მათ შორის, იძულებით ღონისძიებებსა და სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები.

აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლი განმარტავს დაძაბულობისა და მოსალოდნელი სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით პასუხისმგებელ პირთა მიერ შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზატორებთან მოლაპარაკების აუცილებლობის საკითხს. მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მოლაპარაკება ორგანიზატორთან შეიძლება

აწარმოოს პასუხისმგებელმა პირმა ან დანაყოფის ხელმძღვანელმა ღონისძიების დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.“

2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის დარბევამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიასა და საპროტესტო აქციის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მედიის საშუალებით გავრცელებულ განმარტებებში მინისტრი გახარია, აგრეთვე მისი მოადგილე - კახაბერ საბანაძე, აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება ვერ შედგა დემონსტრანტების მხირდან მზადყოფნის არარსებობის გამო. [23]აღსანიშნავია, რომ მედიით გავრცელებული ინფორმაციით, შსს - სა და საპროტესტო აქციის წარმომადგენლებს შორის მედიაციას ახორციელებდნენ ცალკეული ფიზიკური პირები, რაც მოლაპარაკების წარმოების სამართლებრივ, ფორმალურ გზას არ გულისხმობს. ფორმალური თვალსაზრისით, მოლაპარაკების შეთავაზებად ჩაითვლებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის, მისი რომელიმე მოადგილის ან საპოლიცო ღონისძიების განმახორციელებლი დანაყოფის ხელმძღვანელის საჯარო მოწოდება მოლაპარაკების დაწყების თაობაზე. აღნიშნული საჯარო განცხადება შესაძლებელია გაკეთებულიყო როგორც ტელევიზიისა და სხვა მედია საშუალებების, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადების მეშვეობით. ამგვარ საჯარო შეთავაზებას 2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია, რითიც დაირღვა შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მე-6 მუხლი.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-7 მუხლის მიხედვით: „სპეციალური ღონისძიების დაწყებამდე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია/შეუძლებელია.“

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „გაფრთხილება უნდა შეიცავდეს მონაწილეთა მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის მოკლე აღწერას, დაკავებული ტერიტორიის

[23] TV IMEDI “გახარიამ განმარტა, რატომ ჩაიშალა მოლაპარაკება ოპოზიციის ლიდერებთან”, 27 ივნისი 2019, [https://imedinews.ge/ge/politika/110083/gakhariam-ganmarta-ratom-chaishala-molaparakeba-opozitsiis-liderebtan]

დატოვებისათვის გონივრულ დროსა და მარშრუტს, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში - ინფორმაციას ფიზიკური ძალის ან/და სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და მოსალოდნელი შედეგების თაობაზე."

2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ გაფრთხილებას ადგილი არ ჰქონია. მოცემული ჩანაწერის შესაბამის გაფრთხილებად ჩაითვლებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის, მისი მოადგილეების, ან/და სპეციალურ საპოლიციო ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფების ხელმძღვანელთა საჯარო მიმართვა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, რომელიც მათთვის აღქმადი და გასაგები იქნებოდა. აღნიშნულით დაირღვა შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მე-7 მუხლის მოთხოვნები.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის" მე-8 მუხლის „დ" ქვეპუნქტი მკაფიოდ განმარტავს რეზინის ტყვიების გამოყენების წესს, რომლის მიხედვითაც „არალეტალური იარაღის, მათ შორის, არალეტალური ჭურვის გამოყენების ბრძანებას გასცემს ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი პირის თანხმობით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება რეალური საფრთხე შეუქმნას პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას - ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი."

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური შუალედური ანგარიში 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შესახებ[24] შეიცავს კვლევისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას 2019 წლის 20-21 ივნისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს არალეტალური იარაღის, კერძოდ, რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ. ანგარიშში მითითებულია, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მეთოფეების განმარტებით, მათ მიიღეს შესაბამისი ბრძანება ცრემლსადენი აირის ჭურვების გამოყენებასთან დაკავშრებით, თუმცა ხელმძღვანელობისაგან არ მიუღიათ ბრძანება რეზინის ტყვიების გამოყენებისას. მეთოფეები აღნიშნავენ, რომ არალეტალური ჭურვების გამოყენებისას მათი მეთაურებიც იქვე იმყოფებოდნენ, თუმცა არ გაუციათ ბრძანება ჭურვების გამოყენების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

[24] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, 2020 [https://www.ombudsman.ge/res/docs/2020062612225999085.pdf]

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს უფროსების განმარტებით, დეპარტამენტის უფროსმა გასცა ბრძანება ცრემლსადენი აირის ჭურვების გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება გაცემული არ ყოფილა.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სხვადასხვა თანამშრომლის გამოკითხვის საფუძველზე დგინდება, რომ რეზინის ტყვიების გამოყენება ხდებოდა „კონკრეტული პოლიციელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით“ და არა ერთიანი ბრძანების საფუძველზე.

ხაზგასასმელია, რომ არალეტალური ჭურვების - რეზინის ტყვიების გამოყენების ზემოთ მოყვანილი პრაქტიკა აშკარა წინააღმდეგობაშია შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან, რომელიც მკაფიოდ აწესებს არალეტალური იარაღის, მათ შორის, არალეტალური ჭურვის, გამოყენების დროს ხელმძღვანელის მიერ ბრძანების გაცემის აუცილებლობას. აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებიდან: უპირველესად იგულისხმება, რომ ხელმძღვანელ პირს გააჩნია პროცესის აღქმისა და ანალიზის, დემონსტრანტებისაგან მომდინარე პოტენციური ან იმწუთიერი საფრთხეებისა და რისკების შეფასებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და გამოცდილება. ვინაიდან არალეტალური ჭურვის გამოყენება ძალისმიერ და უკიდურეს ზომას წარმოადგენს, ხელმძღვანელი პირის კომპეტენციაზეა დამოკიდებული ვითარების სწორი შეფასება, ე.ი. იმ მომენტის განსაზღვრა, როდესაც საპოლიციო დანაყოფების მხრიდან აუცილებელია უკიდურესი ძალის გამოყენება. ამასთან ერთად, ინსტრუქციით დადგენილი ბრძანების გაცემის აუცილებლობა ემსახურება ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხის დადგენასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის დაუბრკოლებელ გამოვლენას. ბრძანების გაცემის აუცილებლობა ასევე ატარებს წმინდა საოპერაციო დანიშნულებას, იმისთვის, რომ არალეტალური ჭურვების გამოყენება არ მოხდეს უსისტემოდ, პოლიციის ერთეულ თანამშრომელთა პირადი შეხედულებითა და გადაწყვეტილებით, რათა თავიდან იქნეს არიდებული დემონსტრანტებს შორის პანიკა, ფიზიკური დაპირისპირება საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და პოლიციის დანაყოფებს შორის, შესაძლებელი იყოს დემონსტრანტთა ნაკადების უსაფრთხო მართვა.

ზემოთ მოყვანილი ლოგიკის საპირისპიროდ, როგორც სახალხო დამცველის შუალედური ანგარიშიდან ირკვევა, პასუხისმგებელ პირთა მიერ არ გაცემულა ბრძანება არალეტალური ჭურვების - რეზინის ტყვიების გამოყენებასთან დაკავშირებით, რითიც

უხეშად დაირღვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N1002. სავარაუდოა, რომ დემონსტრანტებისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტების სიმრავლე და მიღებულ დაზიანებათა სიმძიმე სწორედ რეზინის ტყვიების საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციათა გვერდის ავლით გამოყენების შედეგია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1002 - ის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „სპეციალური საშუალებების გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს.“ ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბრძანებას არალეტალური ჭურვის გამოყენების შესახებ გასცემს დანაყოფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი პირის თანხმობით. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1002-ის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შეკრების/მანიფესტაციის დროს შემუშავებულ უსაფრთხოების სამოქმედო გეგმას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. შინაგან საქმეთა მინისტრისა და მისი მოადგილეების ჩვენებების მიხედვით, მინისტრმა, მოადგილეების თანხმობით, დაამტკიცა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების გეგმა.“ შესაბამისად, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრია. ამდენად, რეზინის ტყვიების გამოყენებასთან დაკავშირებული ბრძანება უნდა გაეცა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორს (ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (პასუხისმგებელი პირი) თანხმობით, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის შუალედურ ანგარიშში მოყვანილი ჩვენებებით ირკვევა, 2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული სპეციალური პოლიციური ღონისძიების მიმდინარეობისას, არალეტალური ჭურვების გამოყენების დროს, ბრძანების გაცემის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯაჭვი სრულად დარღვეულია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N1002 - ის მე-9 მუხლი აწესებს შეკრების/მანიფესტაციის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების განსაკუთრებულ მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ეკრძალება „არალეტალური ირაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენება ოცი მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ, ასევე სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში (თავი, კისერი, მუცელი, გენიტალიები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პირთა ჯგუფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი.“

2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეების ნაწილს მიადგა მძიმე დაზიანებები

თავის არეში, რამაც რიგ შემთხვევებში გამოიწვია მხედველობის დაკარგვა ან დაქვეითება, თავის ტვინის მძიმე დაზიანებები, ზედა და ქვედა კიდურების პარალიზება, შეუქცევადი ფიზიკური ზიანი. [25]სატელევიზიო საშუალებებით გასულ ვიდეო მასალაში ნათლად იკვეთება სპეცრაზმელთა მიერ რეზინის ტყვიების დამიზნებით, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში სროლა. ასევე აღსანიშნავია, რომ ვიდეო მასალაში ნათლად ჩანს, როგორ იყენებს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმი სპეციალურ პოლიციურ საშუალებებს - წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, - ერთდროულად და პარალელურად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1002 – ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის უხეში დარღვევით, რომელიც ნათლად განმარტავს: „სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ეკრძალება, შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა მიმართ წლის ჭავლის, რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის ერთდროულად ან პარალელურ რეჟიმში გამოყენება.“

1.2.2. საპოლიციო ღონისძიების შინაარსობრივი მდგენელი

2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ ჩატარებული პოლიციური ღონისძიების მატერიალური/შინაარსობრივი განხილვის თვალსაზრისით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი ასპექტები:

<u>საზოგადოებრივი პროტესტი და კრიზისის საწყისი ეტაპი</u>

2019 წლის ივნისში დაწყებული ანტისაოკუპაციო საპროტესტო მოძრაობა, მათ შორის, 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები, პირდაპირ კავშირშია რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს კომუნისტური პარტიის წევრ სერგეი გავრილოვის საქართველოში ჩამოსვლასთან.

საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ შეიცავს მსჯელობისათვის მნიშვნელოვან დებულებებს. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე „საქართველოში შემოდის და საქართველოდან გადის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან მიმოსვლისათვის დადგენილ საათებში, თუ მას აქვს მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი და მიიღებს საქართველოში შემოსვლის ნებართვას.“

[25] https://www.youtube.com/watch?v=zK7Bb1xuu8Y (4:35; 4:40; 4:41; 4:44; 4:46; 4:47;5:11 – 5:12)

https://www.youtube.com/watch?v=EJAXjVpzx1g&fbclid=IwAR1ioro9LtWX4Zp33IsmgFyod3fM7tU6tibcNLNu3Yuin5T3h2uGroO-NYE

შესაბამისად, სერგეი გავრილოვი საქართველოში შემოვიდა სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, აგრეთვე, მას გააჩნდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული საქართველოში შემოსვლის ნებართვა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება ეთქვას უარი „თუ საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას“, ან „თუ, საგარეო - პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მიუღებელია მისი საქართველოში ყოფნა“.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთი და სამაჩაბლო/ცხინვალის რეგიონი, უკანონო სამხედრო ოკუპაცია და ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რომელიც ყოველდღიურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, საქართველოს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხელყოფს მათ უმთავრეს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს. 2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ცხელი ფაზის დასრულებისთანავე რუსეთის ფედერაციის დუმამ კენჭი უყარა საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობასა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საკითხს და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა სპეციალური დადგენილებით შესაბამისი მოქმედებების განხორციელების თაობაზე. კენჭისყრაში მონაწილე რუსეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა, სერგეი გავრილოვმა, ხმა მისცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის სასარგებლოდ.



За: 447 голосов, 99.3%

Против: 0 голосов, 0%

Воздержалось: 0 голосов, 0%

Не голосовало: 3 голосов, 0.7%

Кворум: 226 депутатов

политической партии "ЕДИНАЯ РОССИЯ"
(голосовали 312 из 315)
99%, 312 гол.
0%, 0 гол.
0%, 0 гол.
1%, 3 гол.

"КОММУНИСТИЧЕСКАЯ ПАРТИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ"
(голосовали 57 из 57)
100%, 57 гол.
0%, 0 гол.
0%, 0 гол.
0%, гол.

Фракция Политической партии ЛДПР - Либерально-демократической партии России
(голосовали 40 из 40)
100%, 40 гол.
0%, 0 гол.
0%, 0 гол.
0%, гол.

Фракция Политической партии СПРАВЕДЛИВАЯ РОССИЯ
(голосовали 38 из 38)
100%, 38 гол.
0%, 0 гол.
0%, 0 гол.
0%, гол.

Поименные результаты голосования

Все А Б В Г Д Е Ж З И К Л М Н О П Р С Т У Ф Х Ц Ч Ш Э Ю Я ЕР КПРФ ЛДПР СР

Фамилия Имя Отчество	Фракция	Результаты голосования
ГАБДРАХМАНОВ Ильдар Нуруллович	ЕР	За
ГАВРИЛОВ Сергей Анатольевич	КПРФ	За

[26]

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სერგეი გავრილოვი პირდაპირ ექცევა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების სამართლებრივი მოქმედების სივრცეში, რამდენადაც მისი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, ასევე საქართველოს პრეზიდენტის სასახლესა და საქართველოს პარლამენტის შენობაში დაგეგმილ ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა, ბუნებრივად გამოიწვევდა საზოგადოებრივ მღელვარებას. ამასთან, მისი დაშვება საქართველოს ტერიტორიაზე შეიცავდა მკაფიო რისკებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის. სერგეი გავრილოვის მოწვევა გაუმართლებელია საქართველოს სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში წარმატებით განხორციელებული არაღიარების პოლიტიკის კონტექსტშიც, რაც ქმნის საფუძველს მსჯელობისათვის, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვება მიუღებელი იყო საგარეო - პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, საქართველოში შემოსვლისას უცხო ქვეყნის მოქალაქე გადის ინსპექტირებას სასაზღვრო გამტარ პუნქტში. პროცედურას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ინსპექტირების

[26] 1). http://vote.duma.gov.ru/vote/61885?fbclid=IwAR2- nOwPRb1fPCpM4V_RZnsf43sNBLouDeE2oVbWE3whfUUnrQV5GhDsMy4
2). http://api.duma.gov.ru/api/transcriptFull/2008-08-25

შედეგად, უფლებამოსილი ორგანო უცხო ქვეყნის მოქალაქეს აძლევს თანხმობას საქართველოში შემოსვლაზე ან უარს ეუბნება მას. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც სასაზღვრო გამტარ პუნქტში ინსპექტირების შედეგად უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე, უკან ბრუნდება.

2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების თავიდან ასარიდებლად, აუცილებელი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიემართა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომებისათვის, რითიც შეუძლებელი გახდებოდა როგორც რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატის ვიზიტი საქართველოში, ასევე მისი მონაწილეობა ოფიციალურ ღონისძიებებში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამავე კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქე შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან, თუ საქართველოში მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რაიმე ტექნიკური მიზეზით ვერ უზრუნველყოფდა სერგეი გავრილოვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის პრევენციას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის გამოყენებით შესაძლებელი იყო მის მიმართ საქართველოს ტერიტორიიდან გაძევების მექანიზმის მოქმედებაში მოყვანა. აღნიშნული გზით შესაძლებელი გახდებოდა 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების მშვიდობიანი რეგულირება.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობამ, რითიც შესაძლებელი გახდა სერგეი გავრილოვის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვება, საქართველოს პრეზიდენტის სასახლესა და საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობაში გამართულ ოფიციალურ ღონისძიებებში მისი მონაწილეობა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია საზოგადოებრივი პროტესტი.

<u>ძალის გამოყენების აუცილებლობა და მოლაპარაკების რესურსი</u>

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საპოლიციო ღონისძიების მიმდინარეობისას ძალის გამოყენება წარმოადგენს უკანასკნელ, აუცილებელ გზას

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად. გაურკვეველი რჩება, 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის მიმდინარეობის პროცესში, რა კონკრეტული გარემოება გახდა საპოლიციო დანაყოფების მიერ ძალის გამოყენების მაპროვოცირებელი ფაქტორი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს საპროტესტო აქციის რომელი ფაზა გახდა ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების საფუძველი. თუ ჩავთვლით, რომ საპოლიციო ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა დემონსტრანტებისაგან საქართველოს პარლამენტის შენობის დაცვა, გაუგებარია, რა მომენტში გადაილახა კრიტიკული ზღვარი და დადგა ძალის გამოყენების აუცილებლობა, რამდენადაც საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია პოზიციურ წინსვლას პარლამენტის შენობის მიმართულებით. განხილვისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს შემდეგი შეკითხვა: იმ შემთხვევაში, თუ საპოლიციო ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირთა მიერ დადგინდა დემონსტრანტთა მხრიდან უკანონო ძალის გამოყენების შემთხვევები, რატომ არ გაიმიჯნა ძალადობრივი ჯგუფი მშვიდობიანი დემონსტრანტებისაგან?

აღსანიშნავია, რომ საპოლიციო ღონისძიების დაწყებამდე ადგილი არ ჰქონია საპროტესტო აქციის მონაწილეებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოლაპარაკებას, რამაც შეუძლებელი გახადა მოვლენათა მშვიდობიანი რეგულირება. მოლაპარაკების მექანიზმის გამოუყენებლობა ტოვებს მნიშვნელოვან შეკითხვებს საპოლიციო ღონისძიების რეალურ მიზანთან დაკავშირებით.

<u>ადმინისტრაციული შენობის დაცვა თუ სადამსჯელო ოპერაცია?</u>

2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად დაშავდა მედიის 38 წარმომადგენელი, მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიადგათ საპროტესტო აქციის მონაწილეებს საქართველოს პარლამენტის შენობიდან ასეული მეტრის დაშორებით, განხორციელდა დემონსტრანტთა მიდევნება, რაც საპოლიციო ღონისძიებას შეუსაბამოს ხდის მის ოფიციალურ მიზანთან - ადმინისტრაციული შენობის დაცვა.

საპოლიციო ღონისძიების ტაქტიკურ - საოპერაციო შესრულება, საპროტესტო აქციის დაშლის მეთოდები, საპოლიციო დანაყოფების მიერ გამოყენებული ძალა მასშტაბისა და ინტენსივობის თვალსაზრისით მიუთითებს, რომ საპოლიციო ღონისძიება მიზნად ისახავდა არა ადმინისტრაციული შენობის დაცვას, არამედ დემონსტრანტთა „დასჯას“ გამოთქმული პროტესტის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ ჩატარებული სპეციალური საპოლიციო ღონისძიება არის არალეგალური და არალეგიტიმური. ღონისძიება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების უხეშ დარღვევებს, რაც იწვევს საპოლიციო ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირთა სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

1.3. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საკითხზე მსჯელობისას, გვერდს ვერ ავუვლით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს, რომელთა განხილვაც მნიშვნელოვანია პრობლემის ერთიანი კონტექსტის წარმოსაჩენად.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია, განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „უკანონოა ნებისმიერი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც შექმნილი (დანიშნული/არჩეული) არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და რაიმე ფორმით ფაქტობრივად ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ფუნქციებს ან სხვა საქმიანობას, რაც მიეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოთა ფუნქციებს.“

ნორმის შინაარსის ფართო განმარტებისა და მისი სამართლებრივი მოქმედების პირზე ან პირთა ჯგუფზე გავრცელებისათვის, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რუსეთის ფედერაციის როლი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო ორგანოთა მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლო/ცხინვალის რეგიონზე განხორციელებული ეფექტური კონტროლი.

პრეცედენტულ საქმეში „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეფექტური კონტროლის ცნება სამ ძირითად ასპექტს დაუკავშირა:

1. უცხო ქვეყნის სამხედრო სტრუქტურების მიერ ტერიტორიის კონტროლი გარკვეული დროის განმავლობაში;
2. ტერიტორიის მუნიციპალური მართვა უნდა ხორციელდებოდეს უცხო ქვეყნის ორგანოების მიერ, ან მათი აქტიური ინტერვენციით;
3. დე-ფაქტო ორგანოები მნიშვნელოვნად უნდა იყოს მხარდაჭერილი მესამე სახელმწიფოს მიერ, სამხედრო/უსაფრთხოების, ეკონომიკურ/ფინანსური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

ზემოთ მოცემული სამივე კომპონენტის გათვალისწინებით ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის ფედერაცია, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით, ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატები, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში მხარი დაუჭირეს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთი და სამაჩაბლო/ცხინვალის რეგიონი - დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობას, არა თუ აღიარებენ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ორგანოთა კანონიერებას, არამედ უშუალოდ ქმნიან და ადმინისტრირებას უწევენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ე.წ. სახელმწიფო სტრუქტურებს; შესაბამისი ხელშეკრულებების დადებისა და რატიფიცირების გზით უზრუნველყოფენ უკანონო ორგანოთა პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

განვითარებული მსჯელობის შედაგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის მიერ ირღვევა საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით:

„საქართველოს ხელისუფლება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისას ვალდებულია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

საქართველოს მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დამრღვევი პირის მიმართ ამავე სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი სანქციების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით“.

ზემოთ მოყვანილი მუხლის მიხედვით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა საქართველოს ხელისუფლებისათვის წარმოშობს იმპერატიულ ვალდებულებას, პირის მიმართ გატარდეს კანონით დადგენილი ღონისძიებები, რომელიც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს გავრილოვის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებას, განსაკუთრებით კი, მის მონაწილეობას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

აღნიშნულით საქართველოს ხელისუფლების მიერ დარღვეულია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის მიხედვით:

„1. საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ან/და სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით“.

მოცემული მუხლის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობა. 308-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებაში, რომელიც მიზნად ისახავს უცხო ქვეყნისათვის საქართველოს ტერიტორიის, ან მისი ნაწილის გადაცემას, ან საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფას. მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია მატერიალური დანაშაული, ე.ი. ქმედება, რამაც საქართველოს მთელი ტერიტორიის, ან მისი ნაწილის დაკარგვა, ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. მნიშვნელოვანია, განიმარტოს ტერმინი „სხვა მძიმე შედეგი.“ დამკვიდრებული სამეცნიერო მიდგომით, [27]„მძიმე შედეგს კანონმდებელი არ აკონკრეტებს, იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის გარემოებების მიხედვით. ეს შეიძლება იყოს ომის დაწყება, ლტოლვილთა ნაკადის გაჩენა და სხვა.“

[27] მზია ლეკვეიშვილი, ნანა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,“ წიგნი 1, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბილისი, 2011

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში გამართული კენჭისყრა საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ და კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ცალსახად წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ განხორციელებულ აქტს, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიიდან მისი 20%-ის გამოყოფა, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, კერძოდ, საქართველოს ათიათასობით მოქალაქის საცხოვრებელი ადგილიდან იძულებითი გადაადგილება.

შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი ექცევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის სამართლებრივი მოქმედების სივრცეში, რასაც, ბუნებრივია, შეუძლებელი უნდა გაეხადა აღნიშნული პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი ღონისძიებების გატარების გარეშე.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ნაცვლად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომების მიღებისა, საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უმოქმედობის გამო შესაძლებელი გახდა სერგეი გავრილოვის საქართველოს ტერიტორიაზე დაუბრკოლებელი გადაადგილება, მეტიც, სახელმწიფო ორგანოთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მისი მონაწილეობა.

2. ძალის გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები - შედარებითი ანალიზი

საპოლიციო ღონისძიების მიმდინარეობისას ძალის გამოყენება დარეგულირებულია როგორც საერთაშორისო კანონმდებლობით, ასევე შიდასახელმწიფოებრივი სამართლით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო აღნიშნულ საკითხს სხვადასხვაგვარად არეგულირებს, მნიშვნელოვანია, რომ შიდაეროვნული კანონმდებლობები შესაბამისობაში იყოს საერთაშორისოდ დამკვიდრებულ სტანდარტებთან.

კვლევის სამართლებრივი ნაწილის მიზანია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტებისა და კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ჩვენება იმისა, თუ რა ხარვეზებია ქართულ კანონმდებლობაში და რა რეკომენდაციების გათვალიწინება სჭირდება სახელმწიფოს საერთაშორისო სტანდარტებთან შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის.

2.1. ძალის გამოყენება

ჟენევის 2018 წლის სახელმძღვანელო პრინციპები „ნაკლებად ლეტალური იარაღისა და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობის გამოყენება სამართალდამცავთა მიერ“ აყალიბებს ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სამართალდამცავთა მიერ საპოლიციო ღონისძიებების ჩატარებისას. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ძალის გამოყენების განმარტებაზე. **ძალის გამოყენება გულისხმობს ისეთი ფიზიკური საშუალებების გამოყენებას, ან გამოყენების მუქარას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადამიანთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენა ან მათთვის რაიმეს იძულება. ამგვარი ფიზიკური საშუალებებია: ქიმიური ნივთიერებები, ელექტრო და კინეტიკური საშუალებები. ძალის გამოყენებას შეუძლია დააზიანოს ადამიანის ჯანმრთელობა და გარკვეულ შემთხვევებში გამოიწვიოს სიკვდილი.**[28]

2.2. შეკრება/მანიფესტაციის უფლება

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-20 მუხლისა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-11 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრების უფლება. ანალოგიურ უფლებას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ, მისი 21-ე მუხლი, რომელიც ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, ანიჭებს უფლებას, შეიკრიბონ ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ. როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გაგებით, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური, შესაბამისად, შესაძლებელია მისი შეზღუდვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუკი იგი კანონსაწინააღმდეგო ხასიათისაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძალის გამოყენება კომპლექსური საკითხია და მისი შეფასება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრებებისა და გაერთიანების დარგში, მაინა კიაიმ, განაცხადა, რომ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება დაიცვან მშვიდობიანი შეკრებები, ასევე აქტიურად შეუწყონ ხელი

[28] Geneva Guidelines on Less-Lethal Weapons and Related Equipment in Law Enforcement, july 2018, გვ 33 [https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/Geneva%20Guidelines%20on%20Less-Lethal%20Weapons%20and%20Related%20Equipment%20in%20Law%20Enforcement.pdf]

პროტესტის გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.[29]

2.3. სპეციალური პოლიციური საშუალებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, სამართლებრივად და პოლიტიკურად მბოჭავი ძალა აქვთ. გაეროს 1990 წლის საბაზისო პრინციპები „სამართალდამცავების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ იძლევა მთავრობებისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რაც მოიცავს როგორც ნაკლებად ლეტალური იარაღისა და თავდაცვის საშუალებების, როგორიცაა ფარების, ჩაფხუტების, ტყვიაგაუმტარი ჟილეტებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას, ასევე შიდა რეგულაციებისა და წესების დანერგვას ქვეყანაში თვითნებური ქმედებების აღსაკვეთად. [30]

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, პოლიციელი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად იყენებს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს. პასიური სპეციალური საშუალებები უზრუნველყოფს პოლიციელის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ასეთი სპეციალური საშუალებებია: ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინაღი და სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები. აქტიური სპეციალური საშუალებები პირს მოკლე ვადით უსპობს პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს, ან/და პოლიციელს ეხმარება საპოლიციო ფუნქციის შესრულებაში. ასეთი სპეციალური საშუალებებია: ხელბორკილი, სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, არალეტალური იარაღი, მათ შორის არალეტალური ჭურვი და სხვა.

2.4. „არალეტალური'' თუ ''ნაკლებად ლეტალური'' იარაღი

1990 წლის გაეროს საბაზისო მე-2 პრინციპის მიხედვით, არალეტალურ იარაღად ითვლება ისეთი იარაღი, რომელიც წინააღმდეგობის გაწევის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების უნარს ართმევს ან უზღუდავს ობიექტს. არალეტალური იარაღი თავისი აგებულებითა და კონსტრუქციით შექმნილია იმისთვის, რომ ადამიანის

---

[29] https://omegaresearchfoundation.org/sites/default/files/uploads/Publications/HR_impact_less_lethal_weapons_ACT_30_1305_2015.pdf (გვ 5;6)

[30] "Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990 [https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/useofforceandfirearms.aspx]

ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს არ მიაყენოს ზიანი. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პოტენციურად ნებისმიერი არალეტალური იარაღი შეიძლება გახდეს ლეტალური. [31] აქ მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ იქნება გამოყენებული კონკრეტული მოწყობილობა. „ზემდგომ პოლიციელთა ასოციაციის“ (ACPO) მიხედვით, ''არც ერთი მოწყობილობა (იარაღი) იძლევა იმის გარანტიას, რომ ის არალეტალურია''[32].

[33]2015 წლის საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ არალეტალური იარაღი არის ისეთი აგებულების იარაღი, რომლის გამოყენებაც არ უნდა იწვევდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. სახელმძღვანელო ასევე მიუთითებს, რომ ნებისმიერმა იარაღმა შეიძლება გამოიწვიოს ლეტალური შედეგი, როგორც სიცოცხლის მოსპობა, ასევე სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა, ამიტომ უპრიანია ტერმინი „არალეტალური“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ნაკლებად ლეტალური“. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის მიხედვით, ნებისმიერი იარაღი, მათ შორის არალეტალური ან ნახევრად ლეტალური, შეიძლება გახდეს სასიკვდილო, თუ ის კონკრეტული ფორმით/მეთოდით იქნება გამოყენებული. [34]

ჟენევის აკადემიის 2016 წლის პოლიტიკის დოკუმენტის „ძალის გამოყენება სამართალდამცავთა მიერ და სიცოცხლის უფლება“ მიხედვით, ნაკლებად ლეტალურ იარაღად კვალიფიცირდება რეზინის ტყვიები. აღნიშნული სახელმძღვანელო მკაცრად მიჯნავს ტერმინებს და ადგენს, რომ ''არალეტალური'' შეუსაბამო ტერმინია იარაღთან მიმართებაში, ვინაიდან პრაქტიკულად არ არსებობს არალეტალური იარაღი.[35]

საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, „პოლიციის შესახებ საქართველოს კანონში“, ასევე 2015 წლის 30 დეკემბრის საქართველოს შს მინისტრის ბრძანებაში N 1002, გამოყენებულია ტერმინი ''არალეტალური''. ეროვნული კანონმდებლობა არ იძლევა განმარტებას იმის თაობაზე, რომ ე.წ. „არალეტალური“ იარაღის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ლეტალური შედეგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნული კანონმდებლობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შეუსაბამოა და არ ითვალისწინებს

[31] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, page 133. [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]
[32] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, page 133. [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]
[33] Amnesty International, "Use of Force – Guidelines for implementation of the UN basic principles on the use of force and firearms by law enforcement officials" 2015.
[34] PACE, Committee on Legal Affairs and Human Rights, Urgent need to prevent human rights violations during peaceful protests, Doc. 14060, 10 May 2016, §§ 70-71 [https://www.ecoi.net/en/file/local/1351663/1226_1463488201_document-1.pdf]
[35] https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/in-brief6_WEB.pdf გვ 14

საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება, საქართველოს კანონმდებლობაში დამკვიდრებული ტერმინი „არალეტალური“ შეიცვალოს ტერმინით „ნაკლებად ლეტალური.“

2.5. სხვადასხვა სახეობის ნაკლებად ლეტალური ჭურვები

კინეტიკური იარაღი წარმოადგენს იარაღის იმგვარ სახეობას, რომლის ენერგია, ჭურვის მასა და სიჩქარე საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნული სახეობის იარაღი მოიცავს იარაღის ისეთ კატეგორიას, როგორიცაა ნაკლებად ლეტალური იარაღი (მათ შორის ნაკლებად ლეტალური ჭურვი).[36] 2015 წლის სახელმძღვანელო პრინციპები ძალის გამოყენების შესახებ განმარტავს ნაკლებად ლეტალური ჭურვის ცნებასა და სახეობებს. ჭურვები შეიძლება იყოს დამზადებული როგორც ხისგან, ასევე, მაგალითად, რეზინისა და პლასტმასისაგან.[37] აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ჭურვი შექმნილია იმისთვის, რომ მან ადამიანს მიაყენოს ე.წ ''ბლაგვი ტრავმა“, რომელიც იწვევს სისხლჩაქცევებს, ასევე ხშირია მეტად სერიოზული დაზიანებები, როგორიცაა: ძვლის გატეხვა, ტვინის შერყევა, შინაგანი ორგანოების დაზიანება და სისხლდენა, თვალის დაზიანება, სასმენი და კოორდინაციის აპარატის დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუკი ნაკლებად ლეტალური ჭურვის გამოყენება მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით ხორციელდება, ის მაინც იწვევს სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებებს.[38]

„ომეგას კვლევითი ფონდის“ მიერ შემუშავებული ვიზუალიზაციის დოკუმენტით დგინდება, რომ ნებისმიერი იარაღი, რომელსაც შეუძლია კინეტიკური ზეგავლენის მოხდენა, უნდა დაინომროს, მოხდეს მათი ფოტოგრაფირება, აღიბეჭდოს იარაღებზე ლოგოები/სერიული ნიშნები, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს მწარმოებლებისა და მიმწოდებლების ვინაობა. ფორმის მიხედვით იარაღები შეიძლება იყოს მრგვალი, ოთხკუთხა, წაგრძელებული და ა.შ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს მათი ფორმა და მასალა, რომლისგანაც დამზადებულია იარაღი. ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაკლებად ლეტალური იარაღის ფერზეც, ვინაიდან ხშირად მწარმოებლები იარაღის მარკირებას ფერების მიხედვით ახდენენ.[39]

---

[36] Stuart Casey-Maslen “Non-Kinetic-Energy Weapons Termed “non-lethal”, A Preliminary Assessment under International Humanitarian Law and International Human Rights Law, October 2010, Geneva Academy, page 4. [https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/Non-Kinetic-Energy%20Weapons.pdf] (ხელმისაწვდომი 2021,27 იანვარი)

[37] Amnesty International “Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials”, 2015, Amsterdam, the Nederland, page 22 [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]

[38] Amnesty international, The human rights impact of less lethal weapons and other law enforcement, 2015, London UK, [https://omegaresearchfoundation.org/sites/default/files/uploads/Publications/HR_impact_less_lethal_weapons_ACT_30_1305_2015.pdf] (გვ 17)

[39] A Visual Guide to Military, Security & Police Equipment [Omega Research Foundation & Mispo.org] გვ S5-2

საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს „არალეტალური'' ჭურვების განმასხვავებელ ნიშნებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს, ვინაიდან ბუნდოვანია, რომელი სახეობის ნაკლებად ლეტალური ჭურვის გამოყენებაა შესაძლებელი ეროვნული კანონმდებლობით. აღნიშნული ხარვეზი მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის იმის გასამიჯნად, თუ რომელი სახეობის ტყვია რა დაზიანებას მიაყენებს ადამიანებს. ასევე, როდესაც ვერ დგინდება იარაღების განმასხვავებელი ნიშნები, შესაბამისად მწარმოებლისა და მიმწოდებლის იდენტიფიცირებაც შეუძლებელი ხდება.

2.6. ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენება

„ომეგას კვლევითი ფონდის" მიერ შემუშავებული ვიზუალიზაციის დოკუმენტი უთითებს, რომ ნაკლებად ლეტალური ჭურვი არ უნდა იქნეს გამოყენებული მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ვინაიდან არ იქნება გარანტირებული ''უსაფრთხო გასროლა.'' ამგვარი იარაღის გამოყენება იწვევს პანიკას და, გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვან დაზიანებებს.[40]

''სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ" გაეროს 1990 წლის საბაზისო პრინციპების მე-4 პუნქტის მიხედვით, სამართალდამცავთა ვალდებულებაა, გამოიყენონ არაძალადობრივი მეთოდები იქამდე, ვიდრე დადგება ძალის გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა. სამართალდამცავებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. თავდაპირველად უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რომელთა საფუძველზეც თავიდან იქნება აცილებული ძალის გამოყენება ან მინიმუმამდე იქნება დაყვანილი დაზიანებისა და სიკვდილის რისკი.[41]

ჟენევის 2018 წლის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, გარკვეული სახეობის ნაკლებად ლეტალური იარაღის, მათ შორის რეზინის გარსით დაფარული მეტალის ტყვიების გამოყენება აკრძალულია ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი.[42]

2015 წლის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავებმა უნდა უზრუნველყონ ძალის გამოყენების თავიდან აცილება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შიდა კანონმდებლობის მიხედვით შეკრება უკანონოდ მიიჩნევა,

[40] A Visual Guide to Military, Security & Police Equipment [Omega Research Foundation & Mispo.org] გვ S5-2

[41] Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990. [https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/useofforceandfirearms.aspx]

[42] Geneva Guidelines on Less-Lethal Weapons and Related Equipment in Law Enforcement Text for Consultation July 2018. გვ 19 [https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/Geneva%20Guidelines%20on%20Less-Lethal%20Weapons%20and%20Related%20Equipment%20in%20Law%20Enforcement.pdf]

ეს არ შეიძლება ძალის გამოყენების საფუძველი გახდეს.[43] როდესაც ძალის გამოყენება ხორციელდება უშუალოდ ძალადობაზე რეაგირების მიზნით, სამართალდამცავებმა უნდა გამიჯნონ ძალადობრივი და არაძალადობრივი მომიტინგეები ერთმანეთისაგან და მაქსიმალური სიფრთხილით გამოიყენონ მინიმალური ძალა ძალადობრივი ქმედების განმახორციელებელი მომიტინგეების მიმართ. საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას დემონსტრანტებს შორის ძალადობის განმახორციელებელი ჯგუფის არსებობა არ წარმოადგენს შეკრების ძალადობრივად დაკვალიფიცირების საფუძველს. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, შეკრება/მანიფესტაციის მშვიდობიანი მართვა სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი ვალდებულებაა, რამდენადაც საპოლიციო ორგანოთა წარმომადგენლებზეა დამოკიდებული ვითარების გამწვავება ან დეესკალაცია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომიტინგეთა გარკვეული ჯგუფი ახორციელებს ძალადობრივ ქმედებებს, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს სხვა მომიტინგეთა უფლების შეზღუდვის საფუძველი განაგრძონ მშვიდობიანი შეკრება.[44]

ძალის გამოყენების გადაწყვეტილებისას სამართალდამცავებმა უნდა შეაფასონ რისკები, რომლებიც მოყვება არსებული მწვავე სიტუაციის განეიტრალების მცდელობას. პოლიციის კორდონის გამოყენება პროტესტის მონაწილეების შესაკავებლად პრობლემურ ტაქტიკად მიიჩნევა და არ უნდა გავრცელდეს მასობრივად ყველა მომიტინგეზე, არამედ უნდა გამოიყოს მცირე ძალადობრივი ჯგუფი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოხდეს მისი შეკავება პოლიციის კორდონის მეშვეობით. იმ პირებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი ძალადობაში, უნდა მიეცეთ საშუალება, დატოვონ ტერიტორია. ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენება უნდა მოხდეს აგრესორი მომიტინგეების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ქმედებების აღსაკვეთად სხვა უფრო მსუბუქი საშუალებები არაეფექტურია. აკრძალულია ნაკლებად ლეტალური იარაღის დამიზნება პირდაპირი მიმართულებით. პოლიციური საშუალებები, რომელთაც გაურკვეველი შედეგების გამოწვევა შეუძლია და აქვს პოტენციალი მნიშვნელოვნად დააზიანოს ადამიანის ჯანმრთელობა, როგორიცაა ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ მასობრივი ძალადობის დროს. თუ მომიტინგეებს არ აქვთ საშუალება დატოვონ ტერიტორია და მათ გარშემო არსებული გზები დაბლოკილია, ამგვარი პოლიციური საშუალებების გამოყენება დაუშვებელია.[45]

---

[43] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Nederland გვ 152; 7.2
[https://www.amnestyusa.org/files/amnesty_international_guidelines_on_use_of_force-2.pdf]

[44] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, გვ 153; 7.3,
[https://www.amnestyusa.org/files/amnesty_international_guidelines_on_use_of_force-2.pdf]

[45] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, გვ 147,148,149

ჟენევის 2018 წლის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, შეკრების დასაშლელად ძალის გამოყენებამდე უნდა განხორციელდეს გაფრთხილება და მომიტინგეებს უნდა მიეცეთ დრო, რათა დაემორჩილონ მითითებას, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, უსაფრთხო გზით დატოვონ ტერიტორია.[46]

აღსანიშნავია, რომ ჟენევის აკადემიის 2019 წლის ადამიანის უფლებათა გზამკვლევი ნაკლებად ლეტალურ იარაღის შესახებ ადგენს, რომ ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენება შეკრების დასაშლელად უნდა იყოს უკანასკნელი საშუალება. ამგვარი ღონისძიების ჩატარებამდე აუცილებელია, სამართალდამცავმა ორგანოებმა ერთმანეთისგან გამიჯნონ მშვიდობიანი და ძალადობრივი ქმედებების ჩამდენი პირები. თუკი მიზანმიმართული ინტერვენცია არაეფექტური აღმოჩნდება, სამართალდამცავებს ეკისრებათ წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.[47]

კინეტიკური იარაღის გასროლა არ უნდა განხორციელდეს თავის, სახის ან კისრის მიმართულებით. რეზინის გარსით დაფარული მეტალის ტყვიები სიცოცხლისთვის საშიშია და უნდა აიკრძალოს.[48]

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ 2015 წლის 30 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1002- ის მე-9 მუხლით დადგენილ აკრძალვებზე. მე-9 მუხლის ''გ'' ქვეპუნქტის მიხედვით, არალეტალური იარაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენება 20 მეტრის დისტანციაზე იკრძალება, ასევე მისი გასროლა არ უნდა განხორციელდეს სიცოცხლისათვის საშიში ორგანოების მიმართულებით (თავი, კისერი, მუცელი, გენიტალიები). საქართველოს კანონმდებლობით დგინდება გამონაკლისი, რომლის დროსაც შეიძლება ამ აკრძალვიდან გადახვევა, კერძოდ, როდესაც იარაღის გამოყენების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პირთა ჯგუფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, სამართალდამცავებს აქვთ უფლება, გამოიყენონ არალეტალური იარაღი. 2015 წლის 30 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1002- ის მე-9 მუხლის ''გ'' ქვეპუნქტის მეორე ნაწილი აუქმებს აკრძალვას, რაც გულისხმობს ''არალეტალური'' ჭურვის სროლას სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილებში. აღნიშნული ჩანაწერი ადგენს, რომ გამონაკლის შემთხვევებში მსგავსი ქმედების განხორციელება

[https://www.amnestyusa.org/files/amnesty_international_guidelines_on_use_of_force-2.pdf]

[46] Geneva Guidelines on Less-Lethal Weapons and Related Equipment in Law Enforcement Text for Consultation July 2018. გვ 21; 7.3.3 [https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/Geneva%20Guidelines%20on%20Less-Lethal%20Weapons%20and%20Related%20Equipment%20in%20Law%20Enforcement.pdf]

[47]https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/Geneva%20Guidelines%20on%20Less-Lethal%20Weapons%20and%20Related%20Equipment%20in%20Law%20Enforcement.pdf გვ. 16

[48] Public Order Management, Less Lethal Weapons, UN Peacekeeping PDT Standards for Formed Police Units, 1st Edition, 2015, para. 3.6.1

დასაშვებია. მეტი თვალსაჩინოებისთვის, იხილეთ მუხლის სრული დისპოზიცია: ''**არალეტალური იარაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენება იკრძალება ოცი მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ, ასევე სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილებში (თავი, კისერი, მუცელი, გენიტალიები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პირთა ჯგუფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი.''** მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ძალის გამოყენება, თუმცა სიცოცხლისათვის საშიში ორგანოების მიმართულებით იარაღის გამოყენება იმპერატიული აკრძალვაა ნებისმიერი ვითარების დროს, ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენს აკრძალვას ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისმა გამოყენებამ შეიძლება დააყენოს ფატალური შედეგი. ამდენად, მოცემულ ასპექტში, ეროვნული კანონმდებლობა აცდენაშია საერთაშორისო სტანდარტთან.

2.7. სამართალდამცავთა გადამზადება

საერთაშორისო დონეზე მიღებული და აღიარებული პრინციპებისა და რეგულაციების მიხედვით, საჭიროა სამართალდამცავთა იმგვარი გადამზადება, რომელიც უზრუნველყოფს მათი ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას. საუბარია 1990 წლის გაეროს საბაზისო მე-18, მე-19 და მე-20 პრინციპებზე, რომელთა მიხედვითაც პირდაპირაა განსაზღვრული იმგვარი მეთოდები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა შერჩევას მორალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, აგრეთვე განგრძობადი პროფესიული ტრენინგებისა და შესაბამისი მომზადების აუცილებლობას, რომელიც შეეხება კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას მედიაციისა და მოლაპარაკების გზით, მასების ქცევების გაანალიზებას. „ზემდგომ პოლიციელთა ასოციაცია“ პირდაპირ მიუთითებს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და სამართალდამცავების სერტიფიცირება.[49]

[50]2015 წლის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ მიუთითებს და დაწვრილებით ჩამოთვლის იმ საფეხურებს, რომლებიც აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ უფლებამოსილების ეფექტური განხორციელებისათვის. პირველ საფეხურს წარმოადგენს

[49] Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990. [https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/useofforceandfirearms.aspx]

[50] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands

სამართალდამცავთა შერჩევა განათლების დონისა და ფიზიკური მომზადების დამდგენი ტესტირების საფუძველზე, მოწმდება პიროვნების ფსიქოლოგიური სტაბილურობა და სტრესულ სიტუაციაში მისთვის დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობის ხარისხი. შემდგომ ეტაპზე ყურადღება მახვილდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის წვრთნასა და მომზადებაზე, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს როგორც შესაბამისი ორგანოს, ასევე სახელმწიფოს იმიჯისათვის. წვრთნა უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა რეალურ სიტუაციებსა და გამოწვევებს, რომლებსაც ოფიცრები ყოველდღიურობაში არაერთხელ შეიძლება წააწყდნენ, შესაბამისად, წვრთნა უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ სამართალდამცავებს გამოუმუშავდეთ:

- ფიზიკური შესაძლებლობა სხვადასხვა აღჭურვილობისა და იარაღის გამოყენებისათვის;

- რისკის შეფასების, კომუნიკაციისა და სტრესულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარები;

- მენტალური და ფსიქოლოგიური გამძლეობა სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში;

- უნარი და ცოდნა პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის.[51]

საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ არეგულირებს პოლიციელის სამსახურში მიღების წესს. კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ კანდიდატს არჩევს სამინისტროს საკადრო დანაყოფი და სპეციალური კომისია, რომელთა მიერ ხდება კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური მომზადების, განათლებისა და საქმიანი თვისებების შემოწმება. პოლიციაში ცალკეულ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატი სამინისტროს აკადემიაში გადის სპეციალური მომზადების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს პოლიციაში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ. კანონის მიხედვით, პოლიციაში სამუშაოდ პირი მიღებული უნდა იქნეს სპეციალური კონკურსის გავლის შედეგად. კანდიდატი უნდა იყოს მომზადებული სამართალდამცავი ფუნქციების შესასრულებლად და მას თავიდანვე უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება.

გაეროს საბაზისო პრინციპების მიხედვით, სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია შეიმუშაოს სატრენინგო სისტემა, რათა მოხდეს სამართალდამცავთა შესაბამისი წვრთნა და აღჭურვა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ გადახედვას/კონტროლს, რაც უზრუნველყოფს ძალის გამოყენებისას შეცდომებისა და არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, ტრენინგების ხარისხის

[51] Amnesty International “Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials”, 2015, Amsterdam, the Netherlands, page 172 [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]

სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მიმდინარეობდეს პროგრამის მუდმივი განახლება და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სამართალდამცავთა პროფესიული უნარების გამომუშავებას.

კვლევის ფარგლებში ცენტრმა „ემპათია“-მ წერილობით (წერილი N 31-05/20; 29.05.2020) მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, მოეწოდებინა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის სპეციალური პრაქტიკული წვრთნა/ტრენინგით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება საპროტესტო აქციების მშვიდობიან მართვას. აღნიშნულ წერილში ცენტრმა მოითხოვა წვრთნის სპეციფიკის, თეორიული და პრაქტიკული მოდულების, წვრთნების ჩატარების ინტენსივობისა და თარიღების მითითება, აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც წვრთნის/ტრენინგის სასწავლო კურსითაა გათვალისწინებული.

შსს-ს პასუხში ვკითხულობთ: „შეკრებისა და მანიფესტაციის, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისა და ძალადობის ფაქტების თავიდან აცილებისა და ასეთ შემთხვევებზე ეფექტიანად რეაგირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამინისტროს აკადემია, როგორც საბაზისო, ასევე გადამზადების პროგრამებზე ახორციელებს პოლიციელთა სწავლების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გააზრებასა და შესრულებას. სწავლისას განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსი და განმარტება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად; კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართ; ძალის გამოყენება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს და პოლიციის როლი და მნიშვნელობა ამ უფლების დაცვისას. სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მოსამსახურეები მუდმივად გადიან მასების მართვაში მომზადებისა და გადამზადების სწავლებებსა და კურსებს. აღნიშნული დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმარებისა და მართვის სამმართველო ყოველი წლის დასასრულს ამზადებს მომავალი წლის განმავლობაში ჩასატარებელი სწავლებებისა და საბრძოლო მომზადების პროგრამას. ზემოხსენებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია სპეციალური ტაქტიკის (მასების მართვა) სწავლებებს, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებებს შემდეგ საკითხებში:

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;

• შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სამინისტროს მომსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია;

• ხალხის მასის დინამიკა;

• ხალხის მართვის ოპერაციები;

• ძალის გამოყენება;

• მოლაპარაკება;

• მედიასთან ურთიერთობა;

• გადაწყვეტილების მიღების პროცესი მასების მართვის ღონისძიებებისას;

• სპეციალური საშუალებები;

• ინდივიდუალური საშუალებების დანიშნულება და გამოყენება (მორგება);

• ილეთები ფიზიკური ძალის გამოყენებისას, მტკივნეული ილეთები;

• წყალსატყორცნის გამოყენების პრაქტიკული მეცადინეობები (სპეცმანქანების ეკიპაჟისათვის);

• ქვედანაყოფის სტრუქტურა, ქვედანაყოფის მიერ წყობების შექმნა და გამოსაყენებელი ტაქტიკა (არაძალადობრივი);

• ქვედანაყოფის ჩანაცვლების სავარჯიშოები;

• სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში მომზადება, საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის გამოსაყენებელი ტაქტიკა;

• ქვედანაყოფის გადაადგილება, წყობების შექმნა და გამოსაყენებელი ტაქტიკა;

• არალეტალური იარაღის და ხელყუმბარების გამოყენების წესები და სროლის ხერხები;

• სტადიონების ტრიბუნებზე მოქმედების ტაქტიკა;

• ტაქტიკური გადაადგილებები სპეციალური ტექნიკის გამოყენებით;

• გადაადგილებები ჯავშანმანქანების გამოყენებით.“

მიუხედავად ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერისა და შსს-ს პასუხისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება სტანდარტების პრაქტიკაში გათვალისწინება ან შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილში მოცემული სასწავლო - საწვრთნელი მოდულების სწავლება.

2.8. ბრძანების ჯაჭვი

ანგარიშვალდებულების საკითხი საპოლიციო დანაყოფების მიერ ძალის გამოყენების დროს ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. ანგარიშვალდებულება მოიაზრებს არა მხოლოდ ცალკეული სამართალდამცავი პირის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებული ქმედება/უმოქმედობისას, არამედ ყველა ზემდგომი თანამდებობის პირისა, რომელიც გასცემს ბრძანებას, აკონტროლებს შესაბამის დანაყოფს, მონაწილეობს ოპერაციის დაგეგმვასა და მომზადებაში.[52] ბრძანების ჯაჭვის არსებობისა და ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ანგარიშვალდებულების პრინციპის სრულყოფილად დაცვა, ვინაიდან სარდლობის ჯაჭვი იძლევა მკაფიო იერარქიულ სურათს, რაც შემდგომში ხელს უწყობს პასუხისმგებლობის დადგენას შესაბამისი უკანონო ქმედებების არსებობისას.

ჟენევის აკადემიის 2018 წლის სახელმძღვანელოს მიხედვით, კონტროლი, ანგარიშების წარდგენა და გამჭვირვალობა ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. აუცილებელია, სამართალდამცავი ოფიცრები აღჭურვილნი იყვნენ მაიდენტიფიცირებელი ნიშნით (სახელი ან/და ნომერი), ასევე დანომრილი იყოს ყველა იარაღი, მათ შორის სამხედრო აღჭურვილობა, ხელკეტები და ჭურვებიც.[53] გარდა ამისა, აუცილებელია შეიქმნას შიდა და გარე საზედამხედველო სისტემები, რომლებიც წარმართავენ გამოძიებას მიუკერძოებელად და დამოუკიდებელად და რომელთაც ექნებათ არა მხოლოდ საკუთარი გამოძიების ჩატარების, არამედ გამოძიებაზე ზედამხედველობის მანდატი.[54]

პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს პოლიციელის პასუხისმგებლობას განხორციელებული ქმედებისათვის ნებისმიერ იერარქიულ საფეხურზე. ამავე კოდექსის მე-17 მუხლი ადგენს ვალდებულებას, შეიქმნას მკაფიო სარდლობის ჯაჭვის

[52] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, page 19, [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]
[53] „United Nations Human Rights Guidance on Less-Lethal Weapons in Law Enforcement", Geneva, August 2019, page 7, [https://www.geneva-academy.ch/joomlatools-files/docman-files/UN%20Guidance%20on%20Less%20Lethal%20Weapons.pdf]
[54] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, page 64, [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]

სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც შედარებით ადვილად განისაზღვრება პოლიციის ქმედებისათვის პასუხისმგებელი ზემდგომი თანამდებობის პირის ვინაობა.

ბრძანებების ჯაჭვის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს გადაწყვეტილების მიღებას შესაბამის დონეზე, აგრეთვე უნდა დგინდებოდეს, რომელი გადაწყვეტილება, რა ვითარებაში, კონკრეტულად ვის მიერ იქნა მიღებული. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, ყველა გადაწყვეტილება იყოს ცხადი და დოკუმენტირებული ვიდეო ან წერილობითი საშუალებებით. საეჭვო ბრძანებები შეიძლება გადაიხედოს სამართალდამცავი ოფიცრების მიერ, რომლებიც ჩართულნი არიან ბრძანების ჯაჭვის მექანიზმში.[55]

მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში კრიტიკული სიტუაციების დროს სარდლობის ჯაჭვის სამი დონე არსებობს:

პირველ დონეზე სტრატეგიული მეთაურის დონე განიხილება. მეთაური განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს და აწესებს ტაქტიკურ პარამეტრებს, ინარჩუნებს სტრატეგიულ ზედამხედველობას, საერთო ბრძანებას და პასუხისმგებლობას, რათა მისცეს მიმართულება სამართალდამცავებს. მეთაური აწარმოებს კომუნიკაციას ყველა საფეხურის სამართალდამცავებთან და აფასებს მოსალოდნელ საფრთხეებს.

მეორე დონეს წარმოადგენს ტაქტიკური მეთაური, რომელიც კოორდინირებას უწევს ტაქტიკურ გეგმას, რათა მიღწეულ იქნეს სტრატეგიული მიზანი; პასუხისმგებელია ოფიცრებისა და სხვა პერსონალის მოქმედებებზე, ადგენს დებულებებს სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს სამართალდამცავების განლაგების გეგმის შემუშავებას, რათა სრულყოფილად შესრულდეს დაგეგმილი ოპერაცია, უზრუნველყოფს ყველა გადაწყვეტილების დოკუმენტურ ასახვას.

რაც შეეხება ოპერაციულ მეთაურს **(მესამე დონე),** მას უნდა გააჩნდეს სპეციალური ცოდნა, რათა შეძლოს ფუნქციური და ტერიტორიული უფლებამოსილებების განხორციელება და ოფიცრების ჯგუფის ხელმძღვანელობა.

გაეროს 1990 წლის საბაზისო პრინციპების მიხედვით, ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირდაპირ უნდა იყოს განსაზღვრული პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც უნდა ეხებოდეს თანაბრად როგორც სხვა პირებს, ასევე სამართალდამცავებს. ისინი არ უნდა გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისაგან იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი დასაშვები მტკიცებულება, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც მოიცავს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებებს, მკვლელობას

[55] Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, page 181, [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]

და სხვა მძიმე დანაშაულებს, რომლებიც განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით.

ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ შემთხვევებშიც, როდესაც პოლიციის ქმედება არ გამოიწვევს გარდაცვალებას ან სხეულის მძიმე დაზიანებას. 1990 წლის გაეროს საბაზისო 24-ე პრინციპის მიხედვით, ზემდგომი თანამდებობის პირი არის პასუხისმგებელი, თუ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ სამართალდამცავი მისი ბრძანების საფუძველზე იყენებდა არაკანონიერ ძალას პრევენციული ზომების მიღებამდე და არაფერი მოიმოქმედა კანონდარღვევის აღსაკვეთად ან თავიდან ასაცილებლად. აღსანიშნავია, რომ ზემდგომი პირების პასუხისმგებლობა დგება არა მხოლოდ ბრძანების გაცემის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როდესაც სამართალდამცავების ქმედებამ ადამიანების დაზიანება ან სიკვდილი გამოიწვია და ზემდგომი პირები არ დააყენებენ ამ სამართალდამცავთა პასუხისმგებლობას.[56]

2015 წლის 30 დეკემბრის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1002 მე-8 მუხლით განსაზღვრულია სპეციალური პოლიციური საშუალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირის უფლებამოსილების ფარგლები. კერძოდ, ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არალეტალური იარაღის, მათ შორის, არალეტალური ჭურვის გამოყენების ბრძანებას გასცემს ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი პირის თანხმობით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება რეალური საფრთხე შეუქმნას პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას – ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი; სპეციალური საშუალებების გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს. რაც შეეხება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ბაზას, მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეული სახის იერარქიას განსაზღვრავს, რიგი საკითხებისა საკმაოდ ბუნდოვანი რჩება და მნიშვნელოვნად საჭიროებს კონკრეტიზაციას.

2.9. გამოძიება

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2014 წლის N 25/38 რეზოლუციის მე-12 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს, სწრაფად და ობიექტურად გამოიძიონ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც ჩადენილია საპროტესტო

[56] Amnesty International “Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials”, 2015, Amsterdam, the Netherlands, page 64, [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]

აქციებზე სამართალდამცავთა მიერ ცეცხლსასროლი ან ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენებით.[57]

გაეროს გენერალური ასამბლეის ანგარიშის N 26/36 მიხედვით, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობა დამოკიდებულია სწრაფ, მიუკერძოებელ და ყოველმხრივ გამოძიებაზე. გენერალურმა ასამბლეამ დააწესა ყველა ქვეყნისათვის ამომწურავი და მიუკერძოებელი გამოძიების ვალდებულება. ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, დანაშაულზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და მათი პასუხისგებაში მიცემა დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრის უმთავრესი მექანიზმია.[58]

''სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების'' შესახებ გაეროს 1990 წლის საბაზისო პრინციპების მიხედვით, ზემდგომი პირის პასუხისმგებლობა დგება, როცა მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი კანონიერი ბრძანების საფუძველზე ქვემდგომმა სამართალდამცავებმა გამოიყენეს უკანონო ძალა და არ მიმართეს არანაირ პრევენციულ ზომებს, რათა თავიდან აერიდებინათ ამგვარი ძალის გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პირისთვის ცნობილია ამგვარი უკანონობის შესახებ და ის არ მიიღებს შესაბამის ზომებს უკანონო ქმედებების აღსაკვეთად, დადგება ზემდგომი პირის პასუხისმგებლობა. სამართალდამცავებს უფლება აქვთ უარი თქვან უკანონო ბრძანების შესრულებაზე, რომელიც გასცა ზემდგომმა პირმა, შესაბამისად, ამ შემთხვევაში მათ არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობა.[59]

ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1) სისხლისსამართლებრივი გამოძიება;
2) დისციპლინური გამოძიება;
3) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება ანაზღაურების კონტექსტში, რომელიც მოიცავს კომპენსაციას, უფლებების აღდგენას, რესტიტუციას, ვალდებულების შესრულებასა და ა.შ;
4) ინსტიტუციური ფუნქციონირების მიმოხილვა.

ანგარიშვალდებულების სისტემის ძირითადი ფუნქციაა აღმოფხვრას დაუსჯელობის ფაქტები და მართლმსაჯულებას წარუდგინოს ყველა სახელმწიფო მოსამსახურე, მათ შორის,

[57] Resolution adopted by the Human Rights Council 25/38. The promotion and protection of human rights in the context of peaceful protests , გვერდი 4, პარაგრაფი 12 [https://www.ohchr.org/Documents/Issues/Executions/A-HRC-RES-25-38.pdf]
[58] Human rights council "Report of the Special Rapporteur on extrajudicial, summary or arbitrary executions, Christof Heyns", 2014, 1 april, page 14, მუხლი 83[https://undocs.org/A/HRC/26/36]
[59] Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990. მუხლი 24,25,26. [https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/useofforceandfirearms.aspx]

სამართალდამცავები, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივი დანაშაული. შესაბამისად, სახელმწიფოების პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დანერგვა და განვითარება, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავები არ გათავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და წარდგენილნი იქნებიან მართლმსაჯულების წინაშე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე.[60]

გაეროს 1990 წლის საბაზისო მე-7 პრინციპის მიხედვით, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების შემთხვევების აღმოფხვრა და სამართალდამცავთა დასჯა.[61]

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით დგინდება: ‘’პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.’’ ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, პოლიციელს ეკისრება ვალდებულება, რომ უარი თქვას უკანონო ბრძანების შესრულებაზე. მე-5 ნაწილის მიხედვით, პოლიციელმა უკანონო ბრძანების მიღების შემთხვევაში უნდა აცნობოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ან პროკურორს. მე-6 ნაწილის მიხედვით, პოლიციელს, რომელიც უარს ამბობს შეასრულოს აშკარად უკანონო ბრძანება ან განკარგულება, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მე-7 ნაწილის მიხედვით, პოლიციელისთვის აშკარად უკანონო ბრძანების ან განკარგულების მიმცემ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სამსახურებრივი დისციპლინური ნორმების დარღვევა, განისაზღვრება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;

[60] Amnesty International “Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials”, 2015, Amsterdam, the Netherlands, page 65-67 [https://www.amnestyusa.org/files/amnesty_international_guidelines_on_use_of_force-2.pdf]

[61] Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990. [https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/useofforceandfirearms.aspx]

ე) სპეციალური ან სამხედრო წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;

ვ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;

ზ) სამსახურიდან დათხოვნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N 1002 მე-8 მუხლის მიხედვით დგინდება, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების უმრავლესობაში სისხლისამართლებრივი გამოძიება მიმდინარეობს პოლიციის ან პროკურატურის მიერ, რომელთაც ყოველდღიური შეხება და სამსახურებრივი კავშირი აქვთ საპოლიციო დანაყოფებთან, რის გამოც არსებობს გამოძიების მიკერძოებითა და არაეფექტურად წარმართვის მაღალი რისკი. სწორედ ამიტომ, 2015 წლის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, როდესაც საქმე ეხება სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, იგი უნდა წარიმართოს იმ დამოუკიდებელი ორგანოს ან დანაყოფის მიერ, რომელსაც არანაირი პირადი და პროფესიული კავშირი არ გააჩნია ქმედების ჩამდენი პირის სამსახურეობრივ ქვედანაყოფთან.

მაგალითად, ნიდერლანდებში პოლიციის ეროვნული გამოძიების დეპარტამენტი (Rijksrecherche) წარმოადგენს დამოუკიდებელ, სპეციალიზებულ საგამოძიებო სამსახურს, რომლის ფუნქციებში შედის სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოძიება და განხილვა.[62]

რაც შეეხება საქართველოს, 2019 წლის 10 მაისიდან ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც დღესდღეობით დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოდ მიიჩნევა და რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა და ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიებაა.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ მე-19 მუხლი მიუთითებს მის ქვემდებარე სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებზე: წამება (144^1), წამების მუქარა (144^2), დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (144^3),

[62]Amnesty International "Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials", 2015, Amsterdam, the Netherlands, page 71, [https://www.amnesty.org.uk/files/use_of_force.pdf]

სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებული პირის ღირსების შეურაცხყოფით (332 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებული პირის ღირსების შეურაცხყოფით(333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები) და ა შ.

VI. შემაჯამებელი დასკვნები

1. 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს, სპეციალური პოლიციური საშუალებების (აქტიური საშუალებების) გამოყენებით (რეზინის სხვადასხვა ზომის ტყვია, „წიწაკისა“ და ცრემლმდენი გაზი, წყლის ჭავლი, სპეციალური ხელბორკილები, პოლიციური ხელკეტები), შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ, დარბეული იქნა მშვიდობიანი ანტისაოკუპაციო აქცია საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. მონაწილეთა დევნა გაგრძელდა, პრაქტიკულად, მთელი ღამის განმავლობაში აქციის ადგილიდან დაშორებულ ტერიტორიებზე.
2. ხელისუფლების განმარტებით, აქციის დარბევის მიზეზად დასახელდა საქართველოს პარლამენტის შენობაზე შეტევის მცდელობა და შსს-ს სპეცრაზმთან შეტაკება. 2019 წლის 26 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით 19 პირი მისცა პასუხისგებაში. გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225 - ე და 315 - ე მუხლებით, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და ხელმძღვანელობას, ან მასში მონაწილეობას ითვალისწინებს, ასევე, შეთქმულებას ან ამბოხებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად.

   საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315 - ე მუხლის მიხედვით:

   „1. შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, –

   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

2. ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე".

გამოძიების მიმდინარეობისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც დადასტურდებოდა, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიზანი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა ან ხელში ჩაგდება იყო. მიგვაჩნია, რომ გამოძიების პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315- ე მუხლის გამოყენება განხორციელდა პოლიტიკური მოტივაციით და არა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, რათა საზოგადოების თვალში 2019 წლის 20-21 ივნისს გამართული საპროტესტო აქცია წარმოჩენილიყო არა საზოგადოების სპონტანურ პროტესტად, არამედ წინასწარ დაგეგმილ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულად.

3. ოფიციალური მონაცემებით, კერძოდ, ცენტრი ''ემპათია''-ს კვლევის ფარგლებში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციით[2], 20-21 ივნისის ღამეს, სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენებისას, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო საპროტესტო აქციის 202-მა მონაწილემ, ხოლო შეტაკებისას დაშავდა 73 სპეცრაზმელი. აღნიშნული მონაცემებით, სხეულის ფიზიკური დაზიანება მიიღო სულ 275-მა ადამიანმა[63]. აღსანიშნავია, რომ მოცემული სტატისტიკური მონაცემები არ ასახავს რეალობას, ვინაიდან არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რამდენ დაზარალებულს აღმოეჩინა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ადგილზე და რამდენს ამბულატორული ან/და სტაციონარული დახმარება მომდევნო დღეების განმავლობაში.

4. ამგვარად, ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის, ასევე, აქციის მონაწილეთა მიმართ ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, არ მოიპოვება. არც ერთი საქმეა აღძრული არასათანადო მოპყრობის

[63] სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მოწოდებული წერილი N12/1783, 08/06/2020

მუხლით, რასაც მსგავს სიტუაციებში მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. არც ერთ შემთხვევაში ჩატარდა სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მხრიდან სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა „სტამბოლის პროტოკოლის“ სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზები დღემდე საბჭოთა დროინდელი სხეულის დაზიანების ხარისხის შეფასების სტნადარტებით ხელმძღვანელობენ, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტებისაგან, კერძოდ, „სტამბოლის პროტოკოლი“ -ს პრინციპებისაგან.

5. ამგვარად, 20-21 ივნისის პოლიციური სპეცოპერაციის დროს დაზიანებულ 202 სამოქალაქო პირსა და შსს-ს 73 თანამშრომელს მოემსახურა ჰოსპიტალური სექტორის 20 კლინიკა. მონაცემები ამბულატორული მომსახურების თაობაზე და დიაგნოზების სტატისტიკური მაჩვენებლები უცნობია. შესაბამისად, ზუსტი მონაცემები 20-21 ივნისის აქციაზე დაზარალებულებისა და მათი დიაგნოზების შესახებ კვლავაც უცნობი რჩება.
6. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურამ კლინიკებიდან ამოიღო დაშავებულთა შესახებ სამედიცინო დოკუმენტაციის ორიგინალები ექსპერტიზის ჩატარების მოტივით, თუმცა კლინიკებს არ აღმოაჩნდათ ასლები. შესაბამისად, პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო მათ შესახებ არსებული სრული სამედიცინო დოკუმენტაცია, ასევე, პროკურატურის მიერ დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, რაც საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. კერძოდ, დაირღვა საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, ასევე, საერთაშორისო სტანდარტი, არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის შემთხვევაში, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.
7. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკითა და პროკურატურის განმარტებით, დაზარალებულის ან/და მოწმისათვის ხელმისაწვდომი არ არის სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის, სამედიცინო ექპერტიზის დასკვნები, რაც საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევაა.
8. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 24 ივნისს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333 - ე მუხლის მე -3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების

ფაქტზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისათვის დღემდე არ არის ცნობილი გამოძიების შედეგები. ცენტრმა „ემპათია“-მ მიმართა გენერალურ პროკურატურას აღნიშნული საქმის მიმდინარეობის თაობაზე, თუმცა პასუხი არ მიუღია.

9. „შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის, ქეთევან ტყეშელაშვილის პასუხის (MIA 4 20 01406277, 24/06/20) მიხედვით:

„... 2019 წლის 20 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ უშუალოდ შეკრების შეწყვეტის შესახებ წერილობით ბრძანება არ გამოცემულა, თუმცა, აქვე მოგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, როგორც წესი, შეკრების/მანიფესტაციის დროს მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შემთხვევაში კი უსაფრთხოების გეგმის შემუშავება ხორციელდება სპეციალური შეკრების/მანიფესტაციის დაწყებიდან გონივრულ ვადაში. სამოქმედო გეგმას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი სახელმწიფო საიდუმლოების მოთხოვნათა დაცვით სამოქმედო გეგმაში, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება მონაცემები: სპეციალური ღონისძიების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების, მათი ფუნქციებისა და მოქმედებათა თანამიმდევრობის შესახებ; პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ და სხვა. გაცნობებთ, რომ შეკრების ადგილზე მყოფ სამინისტროს ყველა თანამშრომელს ეცვა სამსახურებრივი უნიფორმა, რითაც შესაძლებელი იყო მათი, როგორც სამართადამცავი პირების, იდენტიფიცირება. ასევე, სამინისტროს დროებით მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ საპოლიციო ღონისძიებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადმინისტრაციული წესით მოთავსებული იქნა 140, ხოლო სისხლის სამართლის წესით - 18 დაკავებული. აღნიშნული პირებიდან, 32 პირის აღენიშნებოდა ტრავმული დაზიანებები, რომლებიც ძირითადად გამოხატული იყო სისხლნაჟღენთების, ნაჭდევების, ნაკაწრების (ექსკორიაციების), არასისხლმდენი ჭრილობების, სხეულის

სხვადასხვა არეზე ტკივილის სახით. სხეულზე არსებული ტრავმების დაზიანებების გამო, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია 10 პირის, მათ შორის ერთი პირი რეფერირებულ იქნა კლინიკაში, სპეციალისტის კონსულტაციის მიღების მიზნით და გაეწია ამბულატორიული მომასახურება. ამასთან, ზემოაღნიშნული 32 პირის სხეულზე არსებული ტრავმული დაზიანებების შესახებ ეცნობა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. რაც შეეხება აღნიშნული შეტყობინებების საფუძველზე სამართლებრივი წარმოების დაწყებას, გაცნობებთ, რომ მითითებული საკითხი სცილდება სამინისტროს კომპეტენციას".

10. ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ (1) 20-21 ივნისს, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლის მიზნით, სამართალდამცავებმა ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანების გარეშე გამოიყენეს სპეციალური პოლიციური საშუალებები, ზოგადად დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რაც არღვევს სპეციალური პოლიციური საშულებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტებს; (2) აღნიშნული წერილით ირკვევა, რომ რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი აქციის დაშლასთან დაკავშირებით არ არსებობს; (3) პერსონალური მაიდენტიფიცირებელი ნომრები ან/და სხვა რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი სპეცრაზმელებს არ ჰქონიათ, შესაბამისად, გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოხდეს სავარაუდო დანაშაულის შემთხვევაში პირის იდენტიფიცირება; (4) აღნიშნული წერილიდან ვერ დგინდება, თუ რომელ საგამოძიებო უწყებას გადაეცა ინფორმაცია 32 სამოქალაქო პირის დაზიანებების შესახებ და როგორ წარიმართა გამოძიება.
11. ცენტრი „ემპათია" -ს მულტიპროფილური კვლევა, „სტამბოლის პროტოკოლი" -ს პრინციპების შესაბამისად, ჩატარდა 20-21 ივნისს დაზარალებულ 30 პირზე, მათ შორის, ჟურნალისტებსა და მედიის სხვა წარმომადგენლებზე.
12. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა 76%-ში ადგილი ჰქონდა რეზინის ტყვიების არაადეკვატურ გამოყენებას, კერძოდ, დაზიანებებს სხეულის წელს ზედა არეში, მათ შორის, თავისა და სახის არეში, რასაც რიგ შემთხვევებში მოჰყვა მშვიდობიან მომიტინგეთა ინვალიდიზაცია. სამმა ადამიანმა დაკარგა მხედველობა, მათ შორის, ორმა მხედველობის ორგანოც. ერთი ადამიანი ქალა - ტვინის ტრავმის შედეგად კვლავ აგრძელებს მკურნალობას. კერძოდ, ირკვევა, რომ წელს ზევით დაზიანება მიიღო გამოკვლეულთა 47% - მა, ხოლო სხვა ტიპის, კომბინირებული ტრავმა - 27% - მა.

თავის ტვინის ტრავმული დაზიანება მიიღო რესპონდენტთა 33% - მა, მათ შორის, 10% - ში ადგილი ჰქონდა გონების დაკარგვის ეპიზოდს. ყოველივე ეს ადასტურებს რეზინის ტყვიების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას.

13. ამგვარად, ფსიქიკურ/ფსიქოლოგიური შედეგების ცხრილის მიხედვით, 100% აღნიშნავს უსამართლობის განცდას, 53% - ში გამოვლინდა თვითდანაშაულის განცდა, 90% მიუთითებს, რომ ეს იყო დასჯის მიზნით განხორციელებული სპეცოპერაცია, 57% აღნიშნავს უმწეობის განცდას, 90% მიიჩნევს, რომ ეს იყო სასტიკი დარბევა, რომლის შედეგადაც შესაძლოა მომკვდარიყო. აღნიშნული მონაცემებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემთხვევების 90%-ში ადგილი ჰქონდა რესპონდენტთა ძლიერ ტრავმირებას, ანუ მათ ცხოვრებაში განსაკუთრებულ სტრესულ მოვლენას, სიკვდილის შიშის ფონზე.
14. გამოკითხულთა 80% - მა აღნიშნა, რომ ხმამაღალი გაფრთხილება აქციის დაშლის თაობაზე არ ყოფილა, აქედან 10% - მა განაცხადა, რომ არ იცის, ხოლო გამოკვლეულთა 10% აცხადებს, რომ ამგვარი გაფრთხილება იყო. თუმცა, ამასთან მიმართებაში საყურადღებოა, რომ აქციის დაშლის დაწყების დროს რესპონდენტები დაახლოებითაც კი ვერ ასახელებენ, რაც, როგორც მინიმუმ, აქციის დაშლის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას არ ადასტურებს.
15. გამოკვლეულთა 60% აღნიშნავს, რომ მიიღეს რეზინის ტყვიებით მიყენებული ცეცხლნასროლი ჭრილობა, „წიწაკის გაზით“ მოწამვლას ადასტურებს 67%, 93% კი შემსწრეა სხვა ადამიანების მიერ სერიოზული ტრავმების მიღებისა. შეკითხვაზე, თუ რით მიიღეს ტრავმული დაზიანება, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 68% - მა უპასუხა, რომ ტრავმული დაზიანება მიიღო რეზინის ტყვიებით, 10% - მკვრივი ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით, 27% მიუთითებს სხეულის სხვადასხვა არეში მიყენებულ ტრავმულ დაზიანებას მკვრივი ბლაგვი საგნით, 7% - გაქცევისას, არეულობაში ტრავმირების ფაქტებს, 7% - გაზის კაფსულით (შაშკით) დაზიანებას, ხოლო 10% - სხვა სახის დაზიანებებს. ამგვარად, ჯამური 129% მიუთითებს, რომ რესპოდენტები აღნიშნავენ ერთზე მეტი სახის დაზიანების მიყენების მეთოდს (ცხრილი N2.12.).
16. ქრონიკული შედეგებიდან საყურადღებოა ქალა - ტვინის ტრავმის ნარჩენი მოვლენები, ასევე 15 (50 %) გამოკვლეული აღნიშნავს ნაწიბურის არსებობას მოგვიანებით პერიოდშიც. ამავდროულად, საშუალოდ 60% (18 ადამიანი) მიუთითებს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომოკომპლექსის არსებობაზე.

17. გამოკვლეულთა უმრავლესობა, რომელთაც გაიარეს სტაციონარული მკურნალობა, მიუთითებს, რომ მათი ინფორმირება სამედიცინო რეგულაციებთან დაკავშირებული უფლებების შესახებ არ მომხდარა. ასევე, არ მომხდარა სამედიცინო დოკუმენტაციაში საქმის გარემოებების სრულყოფილი დოკუმენტირება.
18. ამგვარად, 20-21 ივნისს, სპეციალური პოლიციური საშუალებებით აქციის დაშლისას, ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, რაც ადეკვატურად არ არის დოკუმენტირებული და გამოძიებული.
19. ამავდროულად, არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რამაც გამოიწვია 20-21 ივნისის საპროტესტო აქცია, კერძოდ, სერგეი გავრილოვისა და რუსეთის დელეგაციის აქტივობა საქართველოს პარლამენტში, ჰქონდა თუ არა ადგილი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დარღვევას. (დეტალური ანალიზი იხილეთ V თავის 1.3. ქვეთავში)
20. 2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული სპეციალური პოლიციური ღონისძიების დროს დაირღვა საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N 1002 „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.
21. 2019 წლის 20-21 ივნისს ჩატარებული სპეციალური პოლიციური ღონისძიების მიმდინარეობისას, არალეტალური ჭურვების გამოყენების დროს, სრულად დაირღვა ბრძანების გაცემის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯაჭვი.
22. სერგეი გავრილოვის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვების ნაწილში დარღვეულია საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად განაპირობა შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობამ, რითიც შესაძლებელი გახდა სერგეი გავრილოვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, საქართველოს პრეზიდენტის სასახლესა და საქართველოს პარლამენტში გამართულ ოფიციალურ ღონისძიებებში მისი მონაწილეობა.

23. საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც: „საქართველოს ხელისუფლება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისას ვალდებულია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.“
24. ამგვარად, საეჭვოდ გვესახება აქციის სასტიკი დარბევის რეალური მიზანი: ჰქონდა ადგილი სადამსჯელო სპეცოპერაციას, თუ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ აქციის დაშლას?
25. აღსანიშნავია, რომ სპეციალური (აქტიური) პოლიციური საშულებების არამიზნობრივი გამოყენება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ფასდება, როგორც არასათანადო მოპყრობა[64], რაც წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციით [65]დაუშვებელია ნებისმიერ გარემოებაში (აბსოლუტური აკრძალვა).

VII. რეკომენდაციები

1. სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში ტერმინი „არალეტალური“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ნაკლებად ლეტალური“;
2. საპროტესტო აქციების დაშლისას ჩატარებული სპეციალური პოლიციური ღონისძიებების დროს განხორციელდეს სამართალდამცავთა საიდენტიფიკაციო ნომრებით აღრიცხვა, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გაადვილდეს მათი პასუხისმგებლობის დადგენის საკითხი;
3. რეფორმირდეს სამართალდამცავთა სწავლებისა და ტრენინგის სისტემა;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნას „საპოლიციო საბჭო“, რომლის კომპლექტაციის წესი შეამცირებს საპოლიციო საბჭოზე პოლიტიკური გავლენის რისკებს.

   „საპოლიციო საბჭოს“ უფლებამოსილებად განისაზღვროს სპეციალური პოლიციური ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

[64] Submission to OHCHR on the Use of Less Lethal Weapons during Assemblies, https://omegaresearchfoundation.org/publications
[65] კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს სპეციალური პოლიციური ღონისძიებების ჩატარებისას ბრძანებათა მკაფიო ჯაჭვის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება;
6. საპროტესტო აქციების დაშლისათვის შემუშავებული სამოქმედო გეგმა სპეციალური საპოლიციო ღონისძიების ჩატარების შემდეგ გახდეს საჯარო, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დაუბრკოლებლად განხორციელდეს პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა;
7. აიკრძალოს 2019 წლის 20-21 ივნისის სპეციალური პოლიციური ღონისძიების დროს გამოყენებული არალეტალური ჭურვების შემდგომში გამოყენება, რადგან აღნიშნული ჭურვები, ერთი მხირვ, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, შეუძლებელს ხდის პოლიციური ღონისძიების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას;
8. საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, რისთვისაც აუცილებელია, შემუშავდეს გაეროს 1990 წლის საბაზისო პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული გზამკვლევი;
9. საქართველოს სახელმწიფო ექსპერტიზათა პრაქტიკაში დაინერგოს „სტამბოლის პროტოკოლისა“ და „მინესოტას პროტოკოლის“ პრინციპები, რაც ჩატარებულ ექსპერტიზას თავსებადს გახდის საერთაშორისო სტანდარტებთან;
10. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს 2019 წლის 20-21 ივნისს საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს მოქალაქეების მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, აგრეთვე სერგეი გავრილოვის საქართველოში შემოსვლის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური გამოკვლევა.

გამოყენებულ წყაროთა ნუსხა

1. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
3. „დაკარგული თვალის მიღმა“, 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019
4. „ერთი წელი 20-21 ივნისის მოვლენებიდან“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020
5. „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020
6. სტამბოლის პროტოკოლი: წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 239/ნ, 05.12.2000
8. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“
9. მზია ლეკვეიშვილი, ნანა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,“ წიგნი 1, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბილისი, 2011
10. Geneva Guidelines on Less Lethal Weapons and Related Equipment in Law Enforcement, 2018
11. The Human Rights Impact of Less Lethal Weapons and Other Law Enforcement Equipment, Omega Research Foundation, Amnesty International, 2015
12. Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990
13. Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials”, 2015, Amnesty International
14. Report, Urgent need to prevent human rights violations during peaceful protests, Doc. 14060, 10 May 2016, Parliamentary Assembly Council of Europe
15. Use of Force in Law Enforcement and the Right to Life: The Role of the Human Rights Council, 2016, Geneva Academy
16. Non – kinetic - energy weapons termed “non-lethal”, A preliminary Assessment under International Humanitarian Law and International Human Rights Law, Stuart Casey – Maslen, 2010

17. A Visual Guide to Military, Security and Police Equipment, Omega Research Foundation
18. Public Order Management, Less Lethal Weapons, UN Peacekeeping PDT Standards for Formed Police Units, 1st Edition, 2015
19. Resolution adopted by the Human Rights Council 25/38 – The promotion and protection of human rights in the context of peaceful protests, United Nations General Assembly, 11 April 2014

ღია წყაროებიდან მოპოვებული ვიდეო მასალა

1. **https://www.youtube.com/watch?v=EJAXjVpzx1g&fbclid=IwAR1ioro9LtWX4Zp33IsmgFyod3fM7tU6tibcNLNu3Yuin5T3h2uGroO-NYE**
2. **https://www.youtube.com/watch?v=zK7Bb1xuu8Y**
3. **https://www.youtube.com/watch?v=EJAXjVpzx1g&fbclid=IwAR1ioro9LtWX4Zp33IsmgFyod3fM7tU6tibcNLNu3Yuin5T3h2uGroO-NYE**

Copyright © 2021, ნამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“

ყველა უფლება დაცულია.

დაუშვებელია წიგნის ან მისი რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება ან სხვაგვარი გამოყენება გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ნებადართულია კვლევიდან ციტირება გამოყენებული წყაროს მითითებით.

დაბეჭდილია საქართველოში

ISBN 978-9941-8-2215-5

ტირაჟი - 20 (პუბლიკაცია ვრცელდება ელექტრონული გზით)
დაიბეჭდა შპს „კოპი-პრინტ 2000-ის“ მიერ
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N5

www.empathy.ge

კვლევა მომზადდა ცენტრი „ემპათია“-ს პროექტების ფარგლებში:

„20-21 ივნისის მსხვერპლთა ჰოლისტური მხარდაჭერა საქართველოში“

„არასათანადო მოპყრობა და ბრძოლა დაუსჯელობასთან“

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

RCT/EMPATHY
ცენტრი „ემპათია“

ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია მხოლოდ ცენტრი „ემპათია.“ კვლევის შინაარსი არ გამოხატავს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პოზიციას. შესაბამისად, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ცენტრი „ემპათია.“ აღნიშნული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს „ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.